საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 27 ნოემბერი. 2023 წ. №132 (9664) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

იხ. 2 გვ.

ყველას გასაგონად!

რევოლუცია სიბნელე და ძალადობაა!

სამხრეთ კავკასიაში ისევ დენთის სუნი ტრიალებს

სომხები და ქართველები განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ! 6

სად არის ძაღლის თავი დამარხული?!

ვინ ჯდება ოლიგარქის განსაზღვრებაში – ივანიშვილი თუ კეზერაშვილი, ხაზარაძე თუ ნერეთელი?

იხ. 3 გვ.

კვირის „ხვანცალური“ აზრები

ვისაც შეინყალებს, ვნახავთ, როცა შეინყალებს!

ვისაც შევიწყალებ, ნახავთ, როცა იქნება შეწყალება, – ასე უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 25 ნოემბერს ჟურნალისტების კითხვას, აპირებს თუ არა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას.

„მე აქ არ ვარ მოსული იმისთვის, რომ სტალინზე ან სააკაშვილზე ვილაპარაკო. 7 ნოემბრის გამოსვლებში ნამდვილად ვმონაწილეობდი და ეს იყო ქართველი ხალხის ბრძოლა. ამაზე სხვა სათქმელი არ მაქვს. მე აქ არავის შეწყალებაზე არ ვსაუბრობ და კითხვებზე არ ვპასუხობ, ვისაც შევიწყალებ, ნახავთ, როცა იქნება შეწყალება“, – განაცხადა გაბრაზებულმა სალომე ზურაბიშვილმა.

„ძვირფასო პრეზიდენტო!

შენ რისთვისაც ხვანცარიკობ, 4 კი შეგატყვეთ, არ ვართ ბრმაო“!

2025 წელს ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს

ეგვიპტეში, შარმ ელ-შეიხში გამართულ ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის (FIE) კონგრესზე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ თბილისი ფარიკაობაში 2025 წლის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს.

თბილისს ხმა კენჭისყრაში მონაწილე FIE-ის 134 დელეგატიდან 120-მა მისცა. ცნობისთვის, წინა მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში 2023 წელს მილანში ჩატარდა. საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა, მისი მფლობელი სანდრო გაზაძე გახდა.

ემზარ კვიტაიშვილი



კეშას 8 თავგადასავალი

ნანოელექტრონიკის თეორიის მესაძირკვლე

დიდი მეცნიერი, გამოჩენილი ფიზიკოსი და პედაგოგი



5

აკადემიკოსი ალექსანდრე ნერსესიანი – 80

ვიქტორ ორბანი: ბლოკებად დაყოფის გამო ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა ბევრი დაკარგეს...

ევროპაში დიდი დებატები მიმდინარეობს, როგორ დაუკავშირდეს ევროპა მისგან აღმოსავლეთით მსოფლიოს, – ამის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა ბაქოში, ცენტრალური აზიის ეკონომიკებისთვის გაერო-ს სპეციალური პროგრამის სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისივე თქმით, ევროპაში ახალი იდეები და სტრატეგიები არ ჩამოყალიბებულა.

„ევროპა გამოწვევების წინაშეა. ევროპაში ომია. კონტინენტზე კონკურენციულობა უარესდება და ჩვენ ვერ ვახერხებთ უკონონო მიგრაციის შეჩერებას. ევროპის კონტინენტზე ტერორიზმის საფრთხე მუდმივად იზრდება. გასული სამი ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა ეფუძნებოდა ძალიან სტაბილურ საფუძველს. ჩვენ მივამით დასავლური ტექნოლოგია ადვილად წვდომად, იაფ, ძირითადად რუსულ, ენერგორესურსებს. ამ კომბინაციამ გააძლიერა ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ ამ ომმა შეარყია ეს თანამშრომლობა. ევროპაში არ ჩამოყალიბებულა ახალი იდეები და სტრატეგიები. ჩვენ არ გაგვიკეთებია ევროპის ეკონომიკური ზრდის საფუძვლების რეკონსტრუქცია. ჩვენ ძიების პროცესში ვართ და სწორედ ამიტომ ევროპაში დიდი დებატები მიმდინარეობს, როგორ დაუკავშირდეს ევროპა მისგან აღმოსავლეთით მსოფლიოს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს ეკონომიკა ორად, ბლოკებად გაიყო და ჩვენმა ქვეყნებმა, ზოგადად, ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა ბევრი დაკარგეს ბლოკებად დაყოფის გამო. სწორედ ამიტომ მსოფლიოს მომდევნო ეკონომიკურ პერიოდს განსაზღვრავს დაკავშირებადობა, ორმხრივ ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობა. ევროპიდან ჩვენ ვუყურებთ ცენტრალურ აზიას, როგორც ადგილს, რომელიც აკავშირებს ტრანსპორტს ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის“, – განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

ირაკლი ღარიბაშვილი 24 ნოემბერს ილჰამ ალიევს ბაქოში შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის შეხვედრა ბაქოში, „განჯელიკის“ სამთავრობო რეზიდენციაში, გაიმართა. მთავრობის მეთაური ბაქოში აზერბაიჯანის პრეზიდენტის პირადი მიწვევით SPECA-ს ეკონომიკურ ფორუმს, საპატიო სტუმრის სტატუსით, დაესწრო.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან, კეთილმეზობლურ, მეგობრულ ურთიერთობებზე და აღინიშნა, რომ აზერბაიჯანი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სავაჭრო პარტნიორია. განიხილეს ქვეყანათა სტრატეგიული თანამშრომლობის – ვაჭრობა-ეკონომიკა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ლოჯისტიკა – საკითხები, ამავდროულად საქართველო-აზერბაიჯანს შორის არსებული მნიშვნელოვანი პროექტები: შუა დერეფნის განვითარების პერსპექტივები, რაც გულისხმობს რკინიგზის მოდერნიზაციას, პორტების, გზების გაფართოებას, მშენებლობა-განვითარებას; აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობასა და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტს, რომელიც მთავრობის მეთაურის თქმით, უფრო გააძლიერებს ორი ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალს. სამომავლოდ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი გახდება ევროპა-კავკასია-აზიის სარკინიგზო დერეფნის ნაწილი. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა სამხრეთ კავკასიის მწვანე ენერგეტიკულ რესურსთა ევროკავშირის ბაზრისთვის მისაწოდებლად მასშტაბური პროექტის – შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის – განვითარების საკითხსა და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

მხარეებმა მიმოიხილეს მსოფლიოში და რეგიონში არსებული უსაფრთხოების საკითხები. მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ აზერბაიჯანი სომხეთთან ძალიან მალე გააფორმებს სამშვიდობო შეთანხმებას.

ირაკლი ღარიბაშვილმა ვრცელი სიტყვით მიმართა SPECA-ს ცენტრალური აზიის ქვეყნების მეთაურთა სამიტის მონაწილეებს

ილჰამ ალიევი: დღეს ომები ფართოდ გავრცელდა, ჩვენს ქვეყნებში სიმშვიდე სუფევს, რაც ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების დიდი მიღწევაა

ფაქტორი, რომელიც აერთიანებს ჩვენს ქვეყნებს, ეს არის პოლიტიკური სტაბილურობა, რომლის გარეშე ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია, – ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა, ცენტრალური აზიის ეკონომიკებისთვის გაერო-ს სპეციალური პროგრამის სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„როდესაც გაეროს პროგრამა შეიქმნა, წევრი ქვეყნები დგამდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირველ ნაბიჯებს. ბევრი პრობლემა და გამოწვევა იდგა ჩვენ წინაშე. ბოლო 25 წლის განმავლობაში მთავარი გამოწვევები უკან დარჩა, ჩვენ გავაძლიერეთ ჩვენი სახელმწიფო სუვერენიტეტი, გავხდით საერთაშორისო სამყაროს ღირებული წევრები და სწრაფად განვვითარდით ეკონომიკურად. არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც აერთიანებს ჩვენს ქვეყნებს და ეს არის პოლიტიკური სტაბილურობა. სტაბილურობის გარეშე ეკონომიკური განვითარება არ შეიძლება. დღეს ომები, კონფლიქტები და სისხლიანი შეტაკებები ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ჩვენს ქვეყნებში მშვიდობა, სტაბილურობა და სიმშვიდე სუფევს, განვითარებისა და სამშენებლო პროცესები წარმატებით მიმდინარეობს. ეს ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების დიდი მიღწევა და წარმატებაა.“ – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

უვიცი ნაცების გასაგონად!

რევოლუცია სიბნელე და ძალადობაა!

ვინაიდან „ვარდების რევოლუციიდან“, რომელმაც სახელმწიფო გერბზე წმინდანის გამოსახულებას მიმართულება შეუცვალა (სიკეთე ბოროტებად აქცია, ნათელი – ბნელად, გამარჯვებული – დამარცხებულად...) 20 წლისთვისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე ნაციონალურმა მოძრაობამ „სააკაშვილის მანიფესტი“ გამოაქვეყნა და, როგორც ჩანს, ამჯერად უკვე „ივანიშვილის რეჟიმის“ დასამხობად იწყებს სამზადისს, თავი ვალდებულად ჩავთვალე „გამარჯვებული ხალხისთვის“, კიდევ ერთხელ ამეხსნა რევოლუციის („აჯანყების უფლების“) არსი.

ქართველი იურისტებიდან პირველმა, 1991 წლის დეკემბრის „სახალხო-დემოკრატიული აჯანყება-რევოლუციის“ სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა მოიშველია. სოროსის მიერ დაფინანსებული 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დღეებში კი, პოლიტიკაში აქტიურად ჩართული ზოგიერთი „ახალგაზრდა იურისტი“ საკმაოდ აქტიურად ცდილობდა პარლამენტის შენობაში ძალის გამოყენებით შეჭრა „აჯანყების (რევოლუციის) უფლებით“ გაემართლებინა... არადა, 1917 წელს აჯანყება-გადატრიალების გზით რუსეთის ხელისუფლებაში მოსული უმრავლესობის („ბოლშევიკების“) ბელადი და მთავარი იდეოლოგი (ლენინი) აცხადებდა „რევოლუცია – კანონით შეუზღუდავი ძალაუფლებააო!“.

გაეროს მიერ მიღებული დეკლარაციის მიღებით განვითარებულმა სახელმწიფოებმა სწორედ იმიტომ აღიარეს ადამიანის ძირითადი უფლებები და აიღეს ვალდებულება კანონის ძალით უზრუნველეყოთ მათი დაცვა, რომ ადამიანი იძულებული არ გამხდარიყო „ტირანიის“ (ძალადობაზე და თვითნებობაზე დაფუძნებული რეჟიმის) წინააღმდეგ აჯანყების გზას დადგომოდა. ამასთან, მხოლოდ მას შემდეგ, რაც „სხვას რომ ვერაფერს გააწყობდა“...

შესაბამისად, როდესაც ევროინტეგრაციაზე ორიენტირებული ქვეყნის მოქალაქეები უმრავლესობით ისე ირჩევენ ხელისუფლებას, რომ საარჩევნო პროცედურის მიმართაც არ უჩნდებათ პროტესტის გრძნობა და მხოლოდ უფლებამოსილების მიწურულს აცნობიერებენ, რომ „ტირანები“ („დიქტატორები“, „ოლიგარქები“, „ქაჯები“...) მოსულან ქვეყნის სათავეში, არ უნდა იყოს გონივრული ადამიანის უფლებათა დამცავი საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული პროტესტის ფორმების გამოყენებამდე, ხალხს მოუწოდო მუნებაში არარსებული „აჯანყების (რევოლუციის) უფლებით“ ისარგებლოს. მით უმეტეს, რომ საქართველოს „უზენაესი კანონი“ ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ ხელისუფლება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ხორციელდება და „არავის აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“.

იხ. 7 გვ.

დაპირისპირების ახალი ეპიცენტრები ევროპაში

„ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი ევროპაში მიმდინარე საარჩევნო პროცესების შესახებ პოლიტიკურ ანალიზს გვთავაზობს.



„სტატუსმინიჭებულ საქართველოში უკვე ვალდებულებიც კი ვართ ვფლობდეთ ინფორმაციას ევროკავშირის სივრციდან, ვინაიდან ჩვენი მედიასივრცე ზრუნავს ჩვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და საინფორმაციო ვაკუუმში გვამყოფებს. ამიტომ, სულ ცოტა, ნიდერლანდებში ჩატარებულ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს იგნორირებას ვერანაირად ვერ გავუკეთებთ.

იქ კი გაიმარჯვა ულტრამემარჯვენე „თავისუფლების პარტიამ“ (ლიდერი – გერტ ვილდერსი), რომლის ძირითადი პროგრამა ქვეყნის EU-დან გასვლის (Nexit) შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას ეფუძნება. გერტ ვილდერსის ესპანელი „კოლეგა“, ულტრამემარჯვენე პარტია Vox-ის ლიდერი სანტიაგო აბასკალი, ნიდერლანდებში ჩატარებულ არჩევნებს საინტერესო განცხადებით გამოეხმაურა: „ქუჩაში და საარჩევნო უბნებზე სულ უფრო მეტი ევროპელი ითხოვს იმას, რომ მათი საზღვრები და უფლებები დაცული იყოს“.

არანაკლებად საინტერესოდ შეაფასა ნიდერლანდების არჩევნები იტალიის „ანტიიმიგრაციული“ პარტია Liga-ს ლიდერმა და ამავდროულად ქვეყნის ვიცე-პრემიერმა მატეო სალვინიმ: „გერტ ვილდერსის გამარჯვება არის იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ ახალი ევროპა – შესაძლებელია“.

საინტერესო საპარლამენტო არ-

სად არის ძაღლის თავი დამარხული?!

ვინ ჯდება ოლიგარქის განსაზღვრებაში – ივანიშვილი თუ კეზერაშვილი, ხაზარაძე თუ წერეთელი?

დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი მომზადებულია და ახლა განხილვის გოლო ეტაპზეა. მის საფუძველზე, საგოლოო სახით დამტკიცდება დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა არსებობს, ცხადია, სამოქმედო გეგმა ვერ გადაწყვეტს საქართველოში ოლიგარქების პროგლემას, რადგან დღეს ოლიგარქები არიან პოლიტიკაში და, ალბათ, გააგრძელებენ პოლიტიკურ საქმიანობას. თუმცა, როგორც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე აცხადებს, კონკრეტული ნაგიჯები იქნება გადადგმული ამ სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე.

რაც შეეხება კონკრეტულად პარტიების დაფინანსების თემას, ანუ იურიდიული პირების მხრიდან პარტიების დაფინანსების აკრძალვას და თანმდევ ცვლილებებს, **ირაკლი პოგახიძის** განცხადებით, ეს ყველაფერი არის ეუთო/ოდირის და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში და სწორედ ამის გამო აისახა დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმაში. თუ იქნება ოპოზიციის კატეგორიული პოზიცია, კობახიძე ურჩევს, რომ მიმართონ შესაბამის სტრუქტურებს, თუ მათ არ მოსწონთ ეს ცვლილებები, საქმე ექნებათ ვენეციის კომისიასთან და ეუთო/ოდირთან. მისი თქმით, მუშაობა გრძელდება სისტემური მიდგომის მიხედვით და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა.

რაც შეეხება სისტემურ მიდგომას, ეს გულისხმობს სხვადასხვა სფეროში კანონმდებლობის ცვლილებას, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას, მათ შორის არის კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობა, სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა. ეს არის ე.წ. სისტემური მიდგომა, რომელიც ჯერ ვენეციის კომისიის, შემდეგ კი ევროკომისიის მიერ იყო შეთავაზებული. ირაკლი კობახიძის განცხადებით, ზუსტად ამ სისტემური მიდგომის მიხედვით გრძელდება მუშაობა და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა.

რაც შეეხება ზოგადად ოლიგარქებს, კობახიძე ამბობს, რომ დღეს ქართულ პოლიტიკაში ჩართული არიან ოლიგარქები და ესენი არიან **დავით კეზერაშვილი, მამუკა ხაზარაძე** და **ჯუტა წერეთელი**. როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, გამოდის, რომ ოპოზიცია პირდაპირ უპირისპირდება ვენეციის კომისიას, ევროკომისიას, რომელმაც გვითხრა, რომ არ უნდა მიგვეღო კანონი პერსონალიზებული მიდგომის შესაბამისად.

„თუ ეს უნდა ოპოზიციას, დაელაპარაკოს ვენეციის კომისიას და ევროკომისიას. რაც შეეხება ოლიგარქებს ქართულ პოლიტიკაში, ჩვენ ვიცით, კონკრეტული ოლიგარქები ღიად არიან ჩართული ქართულ პოლიტიკაში. ისინი ამას არც მალავენ, კეზერაშვილმა პირდაპირ მოგვცა აღიარებითი ჩვენება, ხაზარაძე, ჯუტა და ა.შ. ქართულ პოლიტიკაში ეს ოლიგარქები არიან დღეს ჩართული. თუ საუბარია მდიდარ ადამიანებზე, ასეთი მდიდარი ადამიანი ბევრია ქვეყანაში, მაგრამ თუ საუბარია მდიდარ ადამიანებზე, რომლებიც საკუთარ ფულს იყენებენ პოლიტიკაზე, მედიაზე გავლენის მოსაპოვებლად, ასეთი თვითგამოცხადებული ადამიანები გვყავს კეზერაშვილი, ხაზარაძე და სხვები.

რაც შეეხება გიძინა ივანიშვილის გავლენას ხელისუფლებაზე, განსხვავებით კეზერაშვილის გავლენისგან ოპოზიციაზე, აქ არავითარი არც ფაქტი არსებობს, არც მტკიცებულება. კეზერაშვილმა თვითონ აღიარა, რომ არის ოლიგარქი, აფინანსებს მედიას, ენჯეოებს, პარტიებს, ეს არის სწორედ ოლიგარქიული დამოკიდებულება. ჩვენ გამზადებული გვქონდა კონკრეტული კანონი სწორედ პერსონალიზებული მიდგომის მიხედვით, თუმცა, ჯერ ვენეციის კომისიამ და შემდეგ ევროკომისიამ თქვა, რომ მათ არ მოსწონთ პერსონალიზებული მიდგომა და პირდაპირ მოითხოვეს ამ კანონის არმიღება. ახლა რა უნდა ოპოზიციას, ნამდვილად არ ვიცი“, – განაცხადა **ირაკლი პოგახიძემ.**

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა შემუშავდა საქართველოს მთავრობის კოორდინირებით და საგოლოო ჯამში, ქვეყანა თავისი არსით მიიღებს უნიკალურ დოკუმენტს იმ მხრივ, რომ ამ მიმართულებით გამოცდილება ნაკლებად არის მსოფლიოში. რაც შეეხება დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმას, **შალვა პაპუაშვილის** განმარტებით, ის საკმაოდ დეტალურია და 7 სხვადასხვა მიმართულებას ეხება.

„გეგმა სტრუქტურულად აწყობილია შემდეგ პრინციპზე, რომ ერთი მხრივ, არის აღწერილი ამ 7 მიმართულებებში სად ვიმყოფებით და არის ასევე შემდგომი ნაბიჯები, მათ შორის, დადგენილია ვადები. ეს გეგმა შემუშავდა საქართველოს მთავრობის კოორდინირებით და მინდა მთავრობას და მის ადმინისტრაციას მადლობა გადავუხადო. საბოლოო ჯამში, მივიღეთ თავისი არსით უნიკალური დოკუმენტი იმ მხრივ, რომ ამ მიმართულებით გამოცდილება ნაკლებად არის მსოფლიოში“, – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**

მიუხედავად სამოქმედო გეგმისა, ოპოზიციაში ტრადიციულად თვლიან, რომ დეოლიგარქიზაცია საქართველოში განხორციელდება, როდესაც ივანიშვილის ხელისუფლება შეიცვლება პროევროპული, დემოკრატიული კოალიციით.

„ლელოს“ წევრის **სალომე სამადაშვილის** განცხადებით, დეოლიგარქიზაციის შესახებ მოთხოვნა უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ ქვეყანაში შეწყდეს ოლიგარქიული ზეგავლენა სახელმწიფო ინსტიტუტებზე.

„ერთადერთი ოლიგარქიული ზეგავლენა სახელმწიფო ინსტიტუტებზე რომ აქვს ბიძინა ივანიშვილს, ეს უკვე არის დადასტურებული, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ დღეს“, – აღნიშნა **სალომე სამადაშვილმა.**

განსხვავებული პოზიცია აქვს კონსტიტუციონალისტ **ვახტანგ ძაგირაძეს,** რომლის თქმით, გასაგებია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ და არსებული ოპოზიციის მიზანია კანონი მიიღონ მხოლოდ ერთი პერსონის, ივანიშვილის წინააღმდეგ, ხოლო „ქართული ოცნება“ ცდილობს კანონი საერთოდ ააცილოს ივანიშვილს და სხვების წინააღმდეგ იქნას მიღებული. მისი თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად არც ერთი ძალა არ ფიქრობს დეოლიგაქრიზაციის აღმოფხვრაზე, რადგან ორივეს უნდა, რომ საკუთარი ოლიგარქები ჰყავდეს.

„სხვათა შორის, რაშიდაც ვეთანხმები „ქართულ ოცნებას“ არის ის, რომ არ შეიძლება მარტო ივანიშვილზე იყოს მორგებული კანონი. ერთ პარტიაზე და ერთ პიროვნებაზე მორგებული კანონის შემოღება დაუშვებელია. კარგით, გამოვაცხადოთ ივანიშვილი ოლიგარქად, მერე რა? რას მივიღებთ აქედან? დაიწყება პარტიების დაფინანსების კომპლექსური გეგმა, ანუ რასაც ხელისუფლება აპირებს.

ამის იმპლიმენტაციას ვინ მოახდენს, ან როგორ? სად არის იმის გარანტია, რომ ხელისუფლება ამას თავის სასარგებლოდ არ გამოიყენებს? – არა დეოლიგარქიზაციისთვის, არამედ მისთვის არასასურველი მიზნესმენების ჩამოსაშორებლად, ან დასატერორებლად. ამიტომ, დეოლიგარქიზაცია საჭიროა, მაგრამ მას წინ უნდა უძღოდეს მთელ რიგ კანონებში ცვლილებების მიღება“, – ამბობს **ვახტანგ ძაგირაძე.**

როგორც კონსტიტუციონალისტი აცხადებს, მნიშვნელოვანია გააზრება იმისა რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია და რეალურად, სად არის ძაღლის თავი დამარხული.

აქ ყველაზე მარტივ გამოსავალს ვხედავ. ეს არის კორუფცია, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით მთელი ცხოვრება. დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ ტრაგახობს, რომ მან კორუფცია მოსპო, ეს არის აბსოლუტური სიცრუე, იმიტომ, რომ მასობრივი კორუფციიდან გადავედით ელიტურ კორუფციაზე და გრძელდება დღესაც. თუ მოხდება ამის პრევენცია, რომ ელიტური კორუფცია მოისპოს ქვეყანაში, ან მინიმუმამდე დავიდეს, მაშინ ოლიგარქიზაციის თემა, ფაქტობრივად, ჩამოშორდება დღის წესრიგს.

ვინც ამ კორუფციულ სქემას შეცვლის, ასეთი არ მეგულება არც ხელისუფლებაში და არც ოპოზიციაში და აქ „ნაცმოძრაობას“ არ ვგულისხმობ. ჩვენ ეს კორუფციული სისტემა გვაქვს ჯერ კიდევ 1972 წლიდან, როდესაც პირველად თქვა შევარდნაძემ, რომ კორუფციას დაამარცხდებდა. კი არ დაამარცხა, პირიქით – დღესაც, აგერ, რა დღეში ვართ და რაზე ვლაპარაკობთ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველა ხელისუფლების პირობებში საზოგადოებაში კორუფციული ურთიერთობები იყო ერთ-ერთი წამყვანი. ამიტომ, ამას ჩამოყალიბებული დოქტრინა სჭირდება, როგორ შევძლებთ ამ კორუფციული წრიდან ამოვარდნას“, – აცხადებს **ვახტანგ ძაგირაძე.**

თამთა ჟარჩავა

ჩვენები ელოდება ევროპას 2024 წლის ივნისში, კერძოდ, კიდევ ერთ სამეფო რესპუბლიკაში – ბელგიაში, სადაც გამარჯვების შანსი აქვს გერტ ვალდერსის მეკავშირე, 37 წლის ტომ ვან გრიკენის ულტრამემარჯვენე პარტიას – „ფლამადიური ინტერესი“.

ამ პარტიის ძირითადი პროგრამა ეფუძნება ერთიანი ბელგიის გაყოფას ორ ნაწილად: ფლამანდიურენოვან ჩრდილოეთად და ფრანგულენოვან სამხრეთად. ბელგიის ფლამანდიურმა რეგიონმა, რომელიც დემოგრაფიული რიცხოვნობით აღემატება სამხრეთ რეგიონს, უკვე მოიპოვა ქვეყანაში საკუთარი ენის მიმართ პოლიტიკური უფლებები.

ფლამანდიური ნაციონალისტური პარტია N-VA-ს პრეზიდენტმა ბარტ დე ვევერმა კი განაცხადა: „იმ მოქალაქეთა რიგებში, ვინც თავს ეკონომიკურად მიტოვებულად გრძნობს საკუთარი მმართველი ელიტების მხრიდან, შეიმჩნევა ვნებათაღელვის უზარმაზარი ტალღა“.

თავის მხრივ, ტომ ვან გრიკენმა ისიც დაამატა, რომ: „ბელგია იმიტომ კი არ იშლება, რომ არსებობს ფლამანდიური ნაციონალისტური პარტია, არამედ, ეს პარტია იმიტომ არსებობს, რომ ერთიანი ბელგია არ ფუნქციონირებს“. მართალია, დიდი ბრიტანეთი არ შედის EU-ში, მაგრამ ჩვენ უკვე შევეხეთ ლონდონში ულტრამემარჯვენე პარტიებისა და მოძრაობების გააქტიურებას. მათი ძირითადი მოთხოვნებია: ბრძოლა იმიგრაციასთან, დაბალ ეკონომიკურ ზრდასა და მაღალ ინფლაციასთან

კატალონიის, ბასკეთის, შოტლანდიისა და სხვა, ჯერჯერობით „ჩამქრალი ვულკანების“ საკითხებს ამ ეტაპზე არ შევეხოთ, თუმცა, ჩემი მონტენეგროელი კომპეტენტური მეგობრების აზრით, მომავალ წელს სერბებით დასახლებული კოსოვოს ჩრდილოეთი, რომელიც ადგილობრივი მართლმადიდებლობის აკვანს წარმოადგენს, დიდი ალბათობით, სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ახალ ეპიცენტრად მოგვევლინება...“

„ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ! ᲨᲔᲜ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲮᲕᲐᲜᲪᲐᲠᲘᲙᲝᲑ, ᲙᲘ ᲨᲔᲒᲐᲢᲧᲕᲔᲗ, ᲐᲠ ᲕᲐᲠᲗ ᲑᲠᲛᲐᲝ“!

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲕᲔᲠ �გᲐᲕᲘᲓᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲓᲐᲙᲐᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲠᲒᲠᲝᲑᲐ. ᲔᲠᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲢᲐᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲛᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲡ ᲮᲛᲐᲡ ᲛᲘᲕᲪᲔᲛᲓᲘ თუ არა. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲓᲐᲕᲐᲘᲛᲔᲓᲔᲓ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲮᲛᲐᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲛᲠᲔᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲝᲛᲚᲔᲕᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲘ, ᲗᲐᲜ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ

ᲩᲔᲛᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ �გᲐᲕᲐᲢᲐᲜᲔ. ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲝᲓᲐ.

მეორე დღეს გოგონა ისევ მესტუმრა, თან ლეპტოპი მოიტანა. უშუალოდ ქალბატონი სალომე დიდ მადლობას მიხდიდა თანადგომისთვის, თან შემპირდა: როდესაც პრეზიდენტი გავხდები, ერთად ვიმუშაოთ მძიმე დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებისთვისო. წლები გადიოდა და პრეზიდენტს არც გახსენებია დანაპირები, თუმცა ამაზე უკეთესს იგი, ბუნებრივია, ვერაფერს გააკეთებდა.

მთელმა საქართველომ და ქალბატონმა სალომემ შესანიშნავად იცის, რომ მატონ მიძინა ივანიშვილის გარეშე პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. მიუხედავად ამისა, იგი ნაციონალებს შეეკრა და ახლა უკვე ძმასთან ერთად მიზანმიმართულად დაიწყო თავისი სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლა, რაც იშვიათი შემთხვევაა, რადგანაც პრეზიდენტის ძმას არაფერი ესაქმება ქვეყნის შიდა საქმეებში. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინათ ძმამ საფრანგეთიდან ჩამოაკითხა, მაგრამ მაშინ, როგორც ვიცი, მამასისხლად იყვნენ ერთმანეთს გადაკიდებულნი, ხმასაც არ სცემდნენ ერთმანეთს!!! მოკლედ, როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა, „ჭკუანაკლები კაცი საბრალოა, ზნეობანაკლები – „საზიზღარი“. პრეზიდენტის ასეთ ფერისცვალებას ნაციონალებიც არ მოელოდნენ.

პრეზიდენტო, თქვენ მილიონამდე ამომრჩეველი მოატყუეთ. თქვენს ქმედებას კაცი სხვას ვერაფერს დაარქმევს, თუ არა ზნეობით სიმდაბლეს. თუ ისევ აკაკის მოვიშველიებთ, „შენ რისთვისაც ხვანცარიკობ, კი შეგატყვეთ, არ ვართ ბრმაო“, ამიტომ ჩემს ნაჩუქარ წიგნებს თქვენთან ვერ დავაბინავებ, გთხოვთ, დამიბრუნოთ!

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

P.S. **ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ თანაგრძნობა იცის, ბოლომდე არ გაგწირავს. პირადად შეწუხებული ვარ, რომ დიდი ნიკო ნიკოლაძის შთამომავლების მიმართ მიხდება ასეთი წერილის დაწერა.** **Ა. Თ.**

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲛ ᲛᲝᲐ�პᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲰᲥᲕᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲛᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲛᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲩᲐᲐᲧᲔᲜᲐ ᲨᲐᲕ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲒᲐᲓᲐᲛᲪᲔᲛᲘ ᲙᲐᲑᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲨᲕᲔᲑᲐ, ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲝᲠᲛᲐᲬᲧᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲞᲙᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ.

ამ პროექტების განხორციელება იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის მყარი გარანტი.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პროექტებით ჩვენმა პრემიერმა შეძლო დაეინტერესებინა ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყანა.

მაგრამ, როდესაც ომი მძვინვარებს ჩვენს მეზობელ რუსეთსა და უკრაინას შორის და ეს ომი შავ ზღვაზეც გრძელდება, სად არის გარანტია იმისა, რომ შავ ზღვაში ჩაშვებულ კაბელს არ ააფეთქებენ, ან ტვირთების გადამზიდავი ქვეყნები ისარგებლებენ ანაკლიის პორტის მომსახურებით.

ჩვენ რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დამცველი პარლამენტი გვყავდეს, ის გააგრძელებდა მატონი ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დაწყებულ საქმეს. პარლამენტი შექმნიდა თავის საგანგებო ჯგუფს, საზოგადოების ღირსეულ შვილთა მონაწილეობით და ისინი ჩავიდოდნენ კიევსა და მოსკოვში. როგორც კიევში ისე მოსკოვში ჯგუფი შეხვდებოდა სლავური წარმომავლობის პარლამენტარებს და კიდევ ერთხელ შეახსენებდა მათ თუ როგორ ეწინააღმდეგება მათი ომი საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელებას. შეახსენებდა მათ, თუ როგორ ეწირებიან ამ ომს ქართველები, რომლებიც იბრძვიან როგორც უკრაინის ისე რუსეთის მხარეს (გვარებით შეგვიძლია ჩამოვთვალოთ, მხოლოდ ბოლნისიდან რუსეთში გაქცეულია პუტინის მხარეს მებრძოლი ათობით მოხალისე).

დღეს, როდესაც აშშ და ჩინეთი შეთანხმდნენ მრავალ საკითხში, კონგრესმა არ გაითვალისწინა უკრაინის დახმარება, ევროპის ბევრ ქვეყანას მომეზრდა უკრაინის საკითხი, რუსეთმა რაც შეძლო, იმდენი დაანგრია და გაანადგურა უკრაინა, რატომ არ შეიძლება, დროებით მაინც, შეწყდეს სლავი ხალხის განადგურება სლავი ხალხის მიერვე, სიძულვილისა და ბოროტების თესვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით?

საუბედუროდ, სიძულვილი და მტრობა დიდი ხანია არსებობს ჩვენი ქვეყნის პარლამენტში და საზოგადოების ზოგიერთ ფენებს შორის. მაგრამ, რადგან საქართველოს პარლამენტი ჰქვია, მან უნდა შეძლოს სახელმწიფოს ინტერესები დააყენოს საკუთარ ინტერესებზე მაღლა! ამ მეტად რთულ, მაგრამ საპატიო მისიის შესრულებაზე იქნება დამოკიდებული 2024 წლის არჩევნებში დღევანდელი პარლამენტარების გამარჯვება.

ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ,
დამოუკიდებელი ექსპერტი ჰიდრომშენებლობაში.
593 74 82 53

P.S. **ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ განვითარება გვიდასტურებს, რომ ომი გაგრძელდება რამდენიმე წელს, ან ტრაგიკულად დასრულდება ყველასთვის, თუ მონდომებით, გონივრულად არ ვიბრძოლებთ მშვიდობისთვის. მშვიდობისთვის ბრძოლაში ჩვენი პარლამენტი უნდა იყოს ინიციატორი, ნამდვილი თაოსანი!..** **Ნ. Ჯ.**

ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝ-ᲖᲔᲛᲝ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲕᲚᲐ

საქართველოს მთავრობამ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მიმდინარე და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ვიდეორგოლი გაავრცელა.

დაიგო 937 კილომეტრი გზა რეაბილიტაცია ჩაუტარდა 423 კილომეტრს, ამჟამად მიმდინარეობს 75 კილომეტრი გზის განახლება; აშენდა 55 საბავშვო ბაღი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 125-ს, ამჟამად მიმდინარეობს 21 ბაღის მშენებლობა, 7-ის რეაბილიტაცია; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 185 სკოლას, აშენდა 7 ახალი სკოლა, ამჟამად მიმდინარეობს 13 სკოლის მშენებლობა და 18-ის რეაბილიტაცია.

განხორციელდა წყალმომარაგების 59 პროექტი, ამჟამად მიმდინარეობს 7; განხორციელდა წყალარინების 69 პროექტი, ამჟამად მიმდინარეობს 11; ბუნებრივი აირის ქსელზე დაერთების შესაძლებლობა მიეცა 141 374 აბონენტს; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 190 ხიდს, აშენდა 77 ახალი ხიდი, ამჟამად მიმდინარეობს 13 ხიდის მშენებლობა და 9-ის რეაბილიტაცია; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 117 სკვერს, აშენდა 66 ახალი სკვერი, ამჟამად მიმდინარეობს 7 სკვერის მშენებლობა და 7-ის რეაბილიტაცია; მოეწყო 235 სპორტული ინფრასტრუქტურა ამჟამად მიმდინარეობს 23-ის მოწყობა; რეაბილიტირდა კულტურის 35 ობიექტი, აშენდა 6, ამჟამად მიმდინარეობს 3 ობიექტის მშენებლობა და 4-ის რეაბილიტაცია.

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲢᲧᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲡ „ტყის მეგობარი“ ფარგლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში ტყის აღდგენის პროექტი განხორციელდება. „ეფეს საქართველო“ პირველი კომპანიაა, რომელიც ტყეებზე ზრუნვის მოხალისეობრივ პლატფორმას შემოუერთდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი ბრენდი – EFEi Special ტყის აღდგენაზე თიანეთის სატყეო უბანში იზრუნებს, რისთვისაც 13 200 ლარი დაიხარჯება.

მიმდინარე წელს, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებებს კომპანია 12,1 ჰექტარ ფართობზე, სიმონიანთხევის სატყეო უბანში განახორციელებს და აღდგენილი ფართობის ხანგრძლივვადიან მოვლაზეც იზრუნებს.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამის ბიომრავალფეროვნების საფინანსო ინიციატივის (BIOFIN) ფინანსური მხარდაჭერით, პლატფორმა „ტყის მეგობარი“ შეიქმნა. პლატფორმა როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე კომერციულ ორგანიზაციებს საქართველოს ტყეების აღდგენაში მონაწილეობას სთავაზობს როგორც მოხალისეობრივი ჩართულობით, ასევე, ფინანსური მხარდაჭერით.

„ტყის მეგობრის“ პლატფორმაზე, დღეის მდგომარეობით, დარეგისტრირებულია 969 მოხალისე, ინდივიდუალურმა შემოწირულებამ – 454, ხოლო კორპორაციულმა 64 923 ლარი შეადგინა. შეძენილია 29 000 ევროს ღირებულების ტყის აღდგენის სამუშაოებისათვის საჭირო აღჭურვილობა და მასალები. პლატფორმას 2024 წელს განსახორციელებელი ტყის აღდგენის პროექტები დაემატება.

დიდი მეცნიერი, გამოჩენილი ფიზიკოსი და პედაგოგი



აკადემიკოსი ალექსანდრე ნერსესიანი - 80

გამოჩენილ ფიზიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს ალექსანდრე ნერსესიანს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოს ალექსანდრე ნერსესიანის სახელთან პირველ რიგში დაკავშირებულია საქართველოში კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, დაბალგანზომილებიანი სისტემების თეორიის დაფუძნება და განვითარება, დარგისა, რომელიც თანამედროვე ნანოელექტრონიკის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს. თავისი ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში ა. ნერსესიანმა გაამდიდრა ეს დარგი არაერთი ფართო საერთაშორისო აღიარების მქონე მნიშვნელოვანი შედეგით.

ალექსანდრე ნერსესიანი დაიბადა 1943 წლის 27 ნოემბერს თბილისში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1960 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, ხოლო 1965 წელს, თბილისის უნივერსიტეტის სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, მან სწავლა და კვლევითი მუშაობა განაგრძო უნივერსიტეტის ასპირანტურაში პროფესორ გივი ხუციშვილის ხელმძღვანელობით. 1968 წლიდან ბატონი ალექსანდრე ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელია. მან აქ გაიარა მეცნიერული კარიერის ყველა საფეხური და დღესაც აგრძელებს წარმატებით საქმიანობას როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, გ. ხუციშვილის რეკომენდაციით და ხელშეწყობით, ა. ნერსესიანი შეუერთდა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში მომუშავე ახალგაზრდა თეორეტიკოსთა ჯგუფს გიორგი ხარაძისა და გივი ვაჩნაძის ხელმძღვანელობით. ამ ორ შესანიშნავ მეცნიერთან თანამშრომლობაში მან შეასრულა თავისი პირველი გამოკვლევები და მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მეტალებში მაგნიტური მინარევების დაბალტემპერატურული ყოფაქცევის ანომალიებს შეეხებოდა. „კონდოს პრობლემის“ სახელწოდებით ცნობილი ეს მოვლენა აღმოჩენილი იყო იაპონელი ფიზიკოსის ჯუნ კონდოს მიერ 1964 წელს და უაღრესად საამაყოა, რომ აღმოჩენიდან გასული რამდენიმე წლის თავზე თბილისში მომზადდა და თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის საბჭოზე დაცული იქნა იმჟამად ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემისადმი მიძღვნილი საკანდიდატო დისერტაცია.

70-იანი წლების შუა პერიოდიდან ა. ნერსესიანის სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია დაბალგანზომილებიანი სისტემების თეორიულ კვლევებთან. სიახლის გრძნობა ახლაც არ ღალატობს ბატონ ალექსანდრეს და ის ჩვეული გულმოდგინებით ერთვება ველის კვანტური თეორიისა და სტატისტიკური ფიზიკის ერთგანზომილებიანი, ზუსტად ამოხსნადი სისტემების თეორიულ კვლევებში. გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იანი წლების დასაწყისზე მოდის ამ მიმართულებით ფუნდამენტურ პუბლიკაციათა პიკი მთელ მსოფლიოში. მიუხედავად დიდი კონკურენციისა ა. ნერსესიანმა მოახერხა აქაც ეთქვა თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა, მან თანაავტორებთან ერთად შეიმუშავა ე.წ. თანაზომადი-არათანაზომადი კვანტური ფაზური გადასვლის ზუსტი თეორია, რომელიც დღეს ცნობილია ჯაფარიძე-ნერსესიან-პოკროვსკი-ტალაპოვის ფაზური გადასვლის სახელით. ამ პერიოდში ა. ნერსესიანი მჭიდროდ თანამშრომლობს კოლეგებთან მოსკოვის ლანდაუს სახელობის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტიდან, ვისთანაც თანამშრომლობა და მეგობრობა, მიუხედავად მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე მათი გაფანტულობისა, დღესაც წარმატებით გრძელდება.

1984 წელს მაღალტემპერატურული ზეგამტარობის აღმოჩენის შემდეგ ფიზიკის ინსტიტუტის თეორეტიკოსთა ჯგუფი ა. ნერსესიანის ხელმძღვანელობით გადაერთო ამ უახლესი და, როგორც აღმოჩნდა, ურთულესი სამეცნიერო პრობლემის შესწავლაზე. მაღალტემპერატურული ზეგამტარების ბურუსით მოცულმა ბუნებამ თეორიული ძიებების წინა რიგში დააყენა უჩვეულო მაგნიტური წესრიგის მქონე ორგანზომილებიანი სისტემების თეორიული კვლევა. 80-იანი წლების მიწურულს ა. ნერსესიანის მიერ თეორიულად იქნა ნაწინასწარმეტყველები ელექტრონული ორბიტალური ანტიფერომაგნეტიკისა და სპინური ნემატიკის ფაზების არსებობა ორგანზომილებიან მესერულ სისტემებში, ფაზებისა, რომლებიც დღესაც რჩება როგორც ფიზიკოს-ექსპერიმენტატორთა, ასევე თეორეტიკოსთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების კვლევის და გამორჩეული ინტერესის საგანი.

90-იანი წლების დასაწყისიდან ა. ნერსესიანი მევრს მოგზაურობს ევროპაში და ინტენსიურად თანამშრომლობს იქაურ კოლეგებთან. საერთო კვლევების ჩასატარებლად ის გრძელვადიანი სამუშაო ვიზიტებით იმყოფება სკანდინავიის ქვეყნების თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში (Nordita) კოპენჰაგენში, გიოტებორგის, ბონის და ოქსფორდის უნივერსიტეტების თეორიული ფიზიკის ინსტიტუტებში. ამ პერიოდში, მის მიერ ორჯაჭვიანი კვანტური სპინური სისტემების დაბალტემპერატურული ყოფაქცევის აღსაწერად შემუშავებული თეორია გასაღები აღმოჩნდა მრავალჯაჭვა სპინურ სისტემათა მთელი კლასის სრულფასოვანი კვანტური თეორიის აგებისთვის. ამ მიმართულებებით მიღებული პირველხარისხოვანი შედეგები შეჯამებულ იქნა ა. გოგოლინთან და ა. ცველიკთან თანაავტორობით მომზადებულ მონოგრაფიაში „ბოზონიზაცია და ძლიერ კორელირებული სისტემები“ (ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998), რომელიც უკვე მეოთხედი საუკუნეა სამაგიდო წიგნია თეორეტიკოსთა რამდენიმე თაობისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ნერსესიანის მრავალწლიანი თანამშრომლობა აბდუს სალამის სახელობის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრთან (ქ. ტრიესტი, იტალია), რომელიც 1998 წელს დაიწყო. ტრიესტის ცენტრი, თავისი დაარსების პირველი დღიდან იყო და არის არა მარტო უმნიშვნელოვანესი კვლევითი ინსტიტუტი, არამედ გამორჩეული სასწავლო დაწესებულება მთელი მსოფლიოდან შეკრებილი ნიჭიერი ახალგაზრდა ფიზიკოსებისთვის. ცენტრის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ა. ნერსესიანი უკვე მეოთხედი საუკუნეა ატარებს სპეციალურსებს თანამედროვე კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის საკითხებზე. მის მრავალრიცხოვან იქაურ მოწაფეებთან ერთად, არაერთმა ახალგაზრდა ქართველმა ფიზიკოსმაც შეაღო კარი დიდ მეცნიერებაში ა. ნერსესიანის ხელშეწყობით და უშუალო ხელმძღვანელობით. ბატონი ალექსანდრე არც თბილისში აკლებს ყურადღებას ახალგაზრდების მომზადების საქმეს. მის მოღვაწეობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს მაღალკვალიფიციურ მეცნიერ-ფიზიკოსთა კადრების მომზადებას, როგორც ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ბოლო წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მას მიჰყავს სალექციო კურსები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ფარგლებში და ხელმძღვანელობს დოქტორანტებს.

ტრიესტში მოღვაწეობის პერიოდში ა. ნერსესიანმა შეასრულა მნიშვნელოვან გამოკვლევათა ციკლი, რომელშიც შესწავლილი იყო სიმეტრიის დამრღვევი ველების ზეგავლენა ძლიერ კორელირებული სისტემების ღრეჭოვან ფაზებზე. მან აღწერა ზონური იზოლატორიდან კორელირებულ მოტის იზოლატორში გადასვლა და დაადგინა ამ კვანტური ფაზური გადასვლების კავშირი ველის კვანტური თეორიის ე.წ. ორმაგი სინუს-გორდონის თეორიასთან. მიღებულმა შედეგებმა გამოიწვია ამ თემაზე პუბლიკაციათა მთელი ნაკადი, რომელიც დღემდე არ წყდება.

ბოლო წლებში ა. ნერსესიანის სამეცნიერო ინტერესები კონცენტრირებულია კონდენსირებულ გარემოთა თეორიის ტოპოლოგიური ასპექტების კვლევაზე, ერთგანზომილებიან სისტემებში კიდურა ლოკალიზებული მდგომარეობების თვისებების შესწავლაზე. ამ მდგომარეობებს განიხილავენ როგორც უაღრესად პერსპექტიულ ობიექტებს კვანტური ინფორმატიკის თვალსაზრისით. სულ ახლახან მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში შემოვიდა გეომეტრიული ფრუსტრაციით გამოწვეული ეფექტების კვლევა ორჯაჭვიან სტრუქტურებში სისტემის გამჭოლი მაგნიტური ნაკადის არსებობისას.

სამაგალითოა აკადემიკოს ალექსანდრე ნერსესიანის – დიდი მეცნიერის და პედაგოგის მიერ განვლილი ცხოვრების გზა. სასიხარულოა, რომ ასაკის მიუხედავად იგი კვლავ ენერგიულად აგრძელებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ვულოცავთ შესანიშნავ პიროვნებას, ბატონ ალექსანდრეს, სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, პირად გედნიერებასა და ახალ წარმატებებს მრავალფეროვან საქმიანობაში მეცნიერებისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, თსუ ე.ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი.

ქართველოლოგიის მიმართულებები უფრო გაევროპელდება!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გერმანიაში ვიზიტის ფარგლებში გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პრეზიდენტთან ენრიკო შლაიფთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ორ უნივერსიტეტს შორის მრავალწლიანი თანამშრომლობის ფარგლებში კონკრეტული პროექტების გაფართოების შესაძლებლობები განიხილეს, მათ შორის, ისაუბრეს ერასმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამაში განაცხადის გაკეთების შესახებ, ასევე, ქართველოლოგიის მიმართულების გაძლიერების პერსპექტივებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ მასპინძელი უნივერსიტეტის გლობალური ოფისის ხელმძღვანელი, პრეზიდიუმის წარმომადგენელი და კავკასიოლოგიის მიმართულების პროფესორი. დაიგეგმა ენრიკო შლაიფის ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სომხები და ქართველები განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ!

სამხრეთ კავკასიაში ისევ დენთის სუნი ტრიალებს

უკრაინაში წარუმატებელი ომის შემდეგ, სამიზნე სამხრეთ კავკასია გახდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადებით, საფრანგეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახალი ომების გაჩაღებისთვის ნიადაგს ამზადებს. როგორც ილჰამ ალიევი მიიჩნევს, საფრანგეთი უარს ვერ ამგობს თავის კოლონიალურ პოლიტიკაზე, პატივს არ სცემს იმ ერების უფლებებსა და თავისუფლებისკენ სწრაფვას, რომლებიც ევროპის მიღმა ცხოვრობენ.

„საფრანგეთი სტაბილურობას არღვევს არა მხოლოდ თავის ყოფილ და ახლანდელ კოლონიებში, არამედ ამავდროულად ჩვენს რეგიონშიც – სამხრეთ კავკასიაში, სადაც მხარს უჭერს სეპარატისტულ ტენდენციებსა და სეპარატისტებს. მილიტარისტულ პოლიტიკას ატარებს სომხეთის შეიარაღებით, სომხეთში რევანშისტულ ძალებს აქეზებს, ნიადაგს ამზადებს ჩვენს რეგიონში ახალი ომების გაჩაღებისთვის, – განაცხადა **ილჰამ ალიევმა.**

პრეზიდენტ ალიევის ამ განცხადების შემდეგ ცნობილი ხდება, რომ ამერიკული ორგანიზაცია USAID აზერბაიჯანში საქმიანობას ვეღარ გააგრძელებს. საგარეო პოლიტიკის საკითხებში აზერბაიჯანის პრეზიდენტის მრჩეველმა, ჰიქმეთ ჰაჯიევმა ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამანტა პაუერი პოლიტიკურ კორუფციაში, აზერბაიჯანოფობიასა და თურქოფობიაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის 30-წლიანი ოკუპაციის განმავლობაში, როდესაც მილიონზე მეტი აზერბაიჯანელი ეთნიკური წმენდის მსხვერპლი იყო, აშშ აგრესორ ქვეყანას, სომხეთს უჭერდა მხარს და დღეს ეს პოლიტიკა გრძელდება. მისი თქმით, ნიღბები ჩამოხსნილია და USAID-მა აზერბაიჯანი უნდა დატოვოს.

რაც შეეხება საფრანგეთის ინტერესებს, შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ფოთის პორტში შემოვიდა ხომალდი, რომელიც დატვირთული იყო მრავალფუნქციური ჯავშანტრანსპორტიორი Bastion-ით, რომელსაც ფრანგული კომპანია Acmat აწარმოებს. ამასთანავე, ფოთის პორტში შევიდა კომპანია ARQUUS-ის მიერ წარმოებული სხვადასხვა კომპონენტები, რომლებიც Bastion-ის ჯავშანტრანსპორტიორის ოპერირებისთვის არის საჭირო. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ფოთის პორტიდან ამ ტვირთის ტრანსპორტირება სომხეთის მიმართულებით მოხდება.

„ეიპიემ ტერმინალს ფოთი“ ადასტურებს, რომ სომხეთს საქართველოს გავლით ნამდვილად მიეწოდა კონკრეტული ტვირთი, რომელიც შემოსულია ევროკავშირის ქვეყნიდან – საფრანგეთიდან.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** აცხადებს, რომ აღნიშნული ჯავშანტექნიკა არ იყო იმ რაოდენობის და მოცულობის, რომელიც შეცვლის სიტუაციას და ალიევის ეს განცხადებაც ვითარებიდან გამომდინარეა, რადგან ძალიან კარგად იცის, რომ არავითარი ახალი ომის საშიშროება სომხეთის მრიდან არ არსებობს.

„რაც შეეხება აშშ-ის დახმარებას სომხეთის მიმართ, ეს მევრად უფრო მოცულობითია, იგულისხმება ფინანსური დახმარება, მათ შორის საწვავით დახმარება. მეტსაც გეტყვით, იგულისხმება მეწამორის ატომური ელექტროსადგურისთვის საწვავის მიწოდება და ისეთი ტიპის დახმარებებია ჩამოთვლილი, რომ წარმოიდგინეთ, ინტერნეტიც კი, რომელიც საქართველოდან შედის სომხეთში, ამ ინტერნეტის ფასის გადახდაც კი იგულისხმება. პრაქტიკულად, ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ სომხეთმა უარი თქვას რუსეთთან თანამშრომლობაზე და რუსული ჯარი გაიყვანონ რეგიონიდან. აი, ამაზეა ორიენტირებული ორივე სახელმწიფოს აქტიურობა“, – აცხადებს **არეშიძე.**

მისი თქმით, საინტერესო არის სომხეთის მოქმედებაც, რომელიც არ ჩავიდა დსთ-ს სამიტზე, უარი თქვა ასეთივე ღონისძიებაში მონაწილეობაზე და რაც ყველაზე მთავარია, სომხეთმა უარი თქვა 10 იანვარს სომხეთის ტერიტორიაზე გასამართ ოდეკაბეს, იგივე კოლექტიური უსაფრთხოების ძალების მანევრებზე, რომელშიც რუსეთის და სომხეთის შეიარაღებულ ძალებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. როგორც არეშიძე აცხადებს, ყველაფერი იქეთ მიდის, რომ სომხეთი ცდილობს ოდეკაბე დატოვოს.

გარდა ამისა, როგორც არეშიძე აცხადებს, მთავარი დავალება, რომელიც სომხეთმა დასავლეთის მხრიდან მიიღო, მდგომარეობს იმაში, რომ სომხეთიდან გაიყვანოს გიუმრის სამხედრო ბაზა. მისი თქმით, ეს არ არის აუცილებლად ახალი ომის მოცემულობა, მაგრამ ის, რომ სომხეთი ასე მკვეთრად ცვლის თავის ორიენტაციას, ეს ჩანს.

„სომხეთს ძალიან გაუჭირება ამ ვითარებიდან გაძრომა, შენარჩუნება სახელმწიფოებრიობის, იმიტომ, რომ დღეს არა მხოლოდ რუსეთი თვლის თავის გავლენის სფეროდ სამხრეთ კავკასიას, არამედ თურქეთიც და მიუხედავად იმისა, რომ თურეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და დასავლეთის მოკავშირეა, მაინც ჩანს თურქეთი თავის ავტონომიურ პოლიტიკას აწარმოებს რეგიონში. აქედან გამომდინარე, ჩნდება ახალი რისკები და გამოწვევები. შესაბამისად, ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ. მაქსიმალურად გათვლილი უნდა იყოს ყველა ნაბიჯი და ამ ვითარებაში აუცილებელია ქვეყანამ შეინარჩუნოს სიფრთხილე.

ძალიან დიდი ალბათობით, რუსეთი არ შეარჩენს სომხეთს ასეთი ტიპის აქტივობას და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს სომხეთი და სამხრეთ კავკასიაში თავისი სამხედრო ბაზები. ამიტომ, ველოდები, რომ რაღაცა ექსცესი უნდა მოხდეს სომხეთში. მაგალითად – სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. მე არ ვამტკიცებ, რომ ეს აუცილებლად მოხდება, მაგრამ ლოგიკა გვკარნახობს – იქ ძალიან სერიოზული ძალებია კონცენტრირებული.

ყოფილი პრეზიდენტების მხარდამჭერები, პლუს ამას რელიგიური მოღვაწეები, უფრო რუსეთზე არიან ორიენტირებული. ამ ძალების ერთობლიობა გარკვეულ ეჭვს ბადებს, რომ ეს ძალები ტყუილად არ არიან ერთად ორგანიზებული და სერიოზული ნაბიჯების გადადგმას დააპირებენ. თუ ეს გადატრიალება მოხდა, ერთი შეხედვით, ჩვენ არ გვეხება პირდაპირ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით მოვლენები როგორ განვითარდება სომხეთში და სომხეთის გარშემო, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **მამუკა არეშიძე.**

* * *

საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** აცხადებს, რომ სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკური დატვირთვის რეგიონია. ისტორიულად, პოსტსაბჭოთა პერიოდში სამივე რესპუბლიკას განსხვავებული პოლიტიკური ვექტორი ჰქონდა. მაგალითად, სომხეთი იყო რუსეთის სატელიტი, საქართველოს მკვეთრად პროდასავლური კურსი ჰქონდა და აზერბაიჯანი ე.წ. ტრიმერი ქვეყანა იყო, რომელიც თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. თურქეთთან ალიანსით და რუსეთთან ურთიერთობების დალაგების საფუძველზე, მან შეძლო თავისი ტერიტორიული პრობლემის გადაჭრა.

„აქ იგეგმება რეგიონული პროექტების განხორციელება. ავიღოთ 3+3 ფორმატი, რომლის ინიციატორი არის თურქეთი, ეს პროექტები დასავლეთს არ მოსწონს და რატომ? პირდაპირ არ გვეუბნებიან ოფიციალური პირები, მაგრამ ყოფილმა ელჩმა განაცხადა, რომ საქართველოს მონაწილეობას ამ ფორმატში არ მიესალმება, იმიტომ, რომ იქ მონაწილეობს რუსეთი, რომელიც არის საქართველოსთვის ოკუპანტი ქვეყანა.

რატომ? – იმიტომ, რომ ეს პროექტი მიზნად ისახავს რეგიონიდან დასავლეთის გაყვანას და მთავარი მიზანი არის ის, რომ რეგიონალურმა მოთამაშეებმა თვითონ გადაწყვიტონ რეგიონის პრობლემები და საქმეები დასავლეთის ჩაურევლად. შესაბამისად, დასავლეთი არ მიესალმება ამ პროექტის განხორციელებას. საქართველო არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ბლოკავს, არ მონაწილეობს“, – აცხადებს პოლიტოლოგი.

როგორც კიკნაძე აცხადებს, ახლა არის მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი და ამ პროცესისთვის დამახასიათებელია ის, რომ წარმოიშობა რაღაც შეზღუდული ომები, რომელიც შემდეგ გლობალურ ომში იზრდება.

„ეს გლობალური ომი არღვევს მთელ წინა სისტემას და ჩნდება ახალი ჰეგემონი, ახალი მოთამაშეები, ახალი საერთაშორისო სამართალი და ახალი ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში – დღეს ამ პროცესში ვართ. სამხრეთ კავკასია, ანუ ჩვენ ამ პროცესებით მივდივართ ნორმალიზაციისაკენ. თუმცა, ამ ეტაპზე სომხეთის სრულიად განსხვავებულ პოლიტიკას ვხედავთ. ის იყო მკვეთრად პრორუსული და როდესაც რეგიონში ყარაბაღის პრობლემები გადაიჭრა, სიმპათიები გადაიხარა აშშ-ის და დასავლეთის მიმართ.

თუმცა, მე რომ მკითხოთ, ყარაბაღის პრობლემის მოგვარება გაცილებით მეტ დივიდენდებს მოუტანს სომხეთს, იმიტომ, რომ ყველა ის პროექტი, რომელიც ენერგეტიკულ საქართველოზეა, შეიძლებოდა გასულიყო სომხეთზე, მაგრამ აი, ამ კონფლიქტმა მათ საშუალება არ მისცა ჩართულიყვნენ ამ პროექტებში. უნდა გავითვალისწინოთ სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა. იგი გარკვეულწილად ჩაკეტილია და ზღვაზეც არ აქვს გასასვლელი. ამიტომ, ამ პოლიტიკის დაგეგმვისას სომხები უნდა იყვნენ საკმაოდ ფრთხილად. რეგიონში ყველა იმ ქვეყანამ, რომელმაც რუსეთს გარკვეული წინააღმდეგობა გაუწია, რითი დამთავრდა? – ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით“ – აღნიშნა **თამარ კიკნაძემ.**

თამთა ქარჩავა

გურამ მაჭარაშვილი: მე კი გამოსარდება, მაგრამ სალომე ზურაბიშვილს გვარამიას, მელიასა და ხაზარაძის უფროსად გახდომის არანაირი შანსი არ აქვს!

სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს ღიად დაუპირისპირდა. საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა ფრანგულ გამოცემა „ლე მონდთან“ საუბარში ყოფილი პრემიერ-მინისტრი და „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ოლიგარქად მოიხსენია და იგი „რუსულ კავშირებში“ დაადანაშაულა. ზურაბიშვილმა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში ნეგატიურ როლის შემსრულებლად მოიხსენია და თქვა, რომ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ივანიშვილის მიერ თავის დროზე გაკეთებული განცხადება, მისთვისაც არადამაჯერებელია. რას ემსახურებოდა პრეზიდენტის ღია დაპირისპირება ივანიშვილთან და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველოს პრეზიდენტი მომავალ არჩევნებში, შესაძლოა, გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერად მოგვევლინოს...

„რეპორტიორის“ კითხვებს „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი, დეპუტატი ზურამ მაჭარაშვილი პასუხობს.

რევოლუცია სიბნელე და ძალადობაა!

ხელისუფლება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ხორციელდება და „არავის აქვს უფლება, მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“.

(მეორე გვერდიდან)

სახელმწიფოს ძირითადი დანიშნულებაც თავისუფლებასა და წესრიგს შორის გონივრული მიჯნის გავლებაა. შესაბამისად, ყველა ის ქმედება, რომელიც ხელისუფლების ძალადობის (რევოლუცია-აჯანყების) გზით შეცვლისკენ არის მიმართული ან მიზნად ისახავს კონსტიტუციით დაცული ფასეულობების ხელყოფას სისხლის სამართლის კოდექსით არის დასჯადი. ამასთან, ცივილიზებულ სახელმწიფოში, არა მარტო ხელისუფლების ცვლის მექანიზმი, არამედ, მოქალაქეთა მხრიდან პროტესტის გამოხატვის ფორმებიც კანონმდებლობით მკაცრად არის რეგლამენტირებული.

ამდენად, არც მსოფლიო და არც ევროპულ სამართლებრივ სივრცეში არავითარი საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი „აჯანყების (რევოლუციის) უფლება“ მუნებაში არ არსებობს და ეს „ნოვაცია“ ჩვენი „ტელეპოლიტიკოსების“ (უცხოეთიდან დაფინანსებული „აგენტების“...) ე. წ. რევოლუციური თვითშემოქმედების ნაყოფია, რომლის კიდევ ერთხელ პრაქტიკაში განხორციელება ქართულ სახელმწიფოებრიობას საერთოდ მოუშლის ისედაც მორყეულ საძირკველს.

როგორც ჩანს, „ვიღაც მესამეს“ ხელს აძლევს მორიგი სამოქალაქო დაპირისპირება, რითაც საქართველოში (კავკასიაშიც) საკუთარი „გეოსტრატეგიული“ ინტერესების გატარების საშუალება ეძლევა. ამდენად, **საზოგადოება არ უნდა აჰყვეს შესაძლო პროვოკაციებს საპროტესტო აქციები მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში უნდა წარმართოს. მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ ცივილიზებული ერი ვართ და ვიცით სად გადის ზღვარი საკუთარი აზრის გამოხატვასა და დანაშაულს („რევოლუციას“) შორის.**

ცხადია, არ უნდა შევეგუოთ ამომრჩევლის ნების გამოხატვის შეზღუდვას ან არჩევნების შედეგების გაყალბებას, მაგრამ დაუშვებელია სახელისუფლებო (სამთავრობო) შენობებში შეჭრა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. მხოლოდ მშვიდობიანი, კონსტიტუციურ ფარგლებში მოქცეული ქმედებებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ხელისუფლებამ სრულყოს საარჩევნო კანონმდებლობა, დაადგინოს ამომრჩეველთა რიცხვი, დაითხოვოს საარჩევნო ადმინისტრაცია, შექმნას რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარჩევნო კომისიები. ვთვლი, რომ რეალურად სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად და საზოგადოების გასაერთიანებლად, კარგი იქნებოდა, ცესკოს წევრების უმრავლესობა 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს წევრებს შეერჩიათ, ხოლო დანარჩენი წევრები დღევანდელ პარლამენტარებს.

გარდა ამისა, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, თუნდაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოყენებით, მოქალაქეებში სამართლებრივი ცოდნის გავრცელებას. ყველა შემთხვევაში, სანამ მოქალაქე არჩევანს გააკეთებს, ის მაინც უნდა ავუხსნათ, პარლამენტის წევრს რა ფუნქციები აკისრია და, რომ საარჩევნო ოლქის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები მისი ძირითადი საქმე არ არის, ხოლო სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლების ცოდნის გარდა, საკანონმდებლო ხელისუფლებაში ხალხის წარმომადგენელს გარკვეული ცხოვრებისეული გზაც უნდა ჰქონდეს გავლილი და ზნეობითაც უნდა იყოს გამორჩეული.

ფაქტია, XX საუკუნის მიწურულს, 70-წლიანი ბოლშევიკური ტოტალიტარიზმისგან თავდაღწეულებმა, დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, ჯერ იყო, 90%-ით არჩეულ „ეროვნულ ხელისუფლებას“ არ ვაცალეთ წელიწადი და „სახალხო-დემოკრატიული აჯანყების“ გზით დავამხეთ, ხოლო XXI საუკუნის დასაწყისშივე „გამარჯვებულმა ქართველებმა“ სახელმწიფო სიმბოლოები, ფაქტობრივად, რევოლუციის ბელადის „ხუშტურით“ შევცალეთ... საკადრო საკითხებსა და კანონთან დამოკიდებულებაშიც „ბოლშევიკებივით მოვიქეცით... თუმცა, პროგრესიც აშკარაა... არც ფრანგი რევოლუციონერებივით დავრევივართ ინტელიგენციას (მხოლოდ „ჩავრეცხეთ“...) და არც რუსებივით გაგვიულეტია მოსახლეობის ნახევარი (მხოლოდ ნაწილი „გავაკულაკეთ“, ხოლო დანარჩენებს ემიგრაციაში წასვლა ვაიძულეთ...).

> **არადა, როდესაც სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში გაუთვიცნობიერებლები საგზოთა იმპერიას მიტინგებით „ვამხოგდით“, გრგოდ ქცეულმა ეგზალტირებულმა მასამ, გატონ აკაკი გაქრაქესაც კი, სტვენით შეაწყვეტინა სიტყვა, როდესაც მთავრობის სასახლის წინ შეკრებილებს დაშლისკენ მოუწოდა... მაშინ გაუზიარებია გულისწუხილი მეგობრისთვის: „მთელი ცხოვრება მეგონა, სინათლეს ვაღვიძებდი, სიბნელე გამიღვიძებიაო!“**
>
> **ამდენად, დროა გონს მოვეგოთ, როგორც გატონი აკაკი იტყოდა „ვასალური აზროვნება დავძლიოთ“, „სინათლე გავაღვიძოთ“ და კონსტიტუციური (ევოლუციური) გზით დავამკვიდროთ სამართლებრივი სახელმწიფო. თორემ, თუ ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებზე (პირველ რიგში, სამართლიან არჩევნებსა და ხელისუფლებათა რეალურ დანაწილებაზე...) არ ავიღეთ ორიენტირი და „რევოლუციებით“ გავაგრძელეთ სვლა, „ხუთჯვრიან სტადიამდე“ მისულ ქვეყანას ვეღარაფრით განვკურნავთ და დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად, მართლაც კარიკატურული ტიპის პლუტოკრატიული ტირანია შეგვრჩება ხელში.**
>
> **ავთანდილ კაჭნიაშვილი,**
> სამართლის დოქტორი

რაც ალხანაა, ისაა ჩალხანაც

ამ უღმერთოებმა გიორგობის მწყინვალე დღესასწაულზე ვარდების ეგრეთ წოდებული რევოლუციის 20 წლისთავი აღნიშნეს. გუნებრივია, თითქმის ჩაბნელებულ დარბაზში. ან კი რა აქვთ გამოსაჩენი და საზეიმო, როცა მათი 9-წლიანი მმართველობის სინონიმებად სისხლის გუბეები, ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვა, ციხეებში პატიმართა „დუმინკებით“ გაუპატიურება, მიზნესის რეკეტი, ტელევიზიების მიტაცება და კიდევ ათასგვარი უკეთურობა იქცა.

მიხვდებოდით, რომ ერის სირცხვილს – ნაცებს ვგულისხმობ, რომლებსაც როგორი ოდიოზურიც უახლოესი წარსული ჰქონდათ, ისეთივე, თუ უარესი არა, აქვთ აწმყოც.

უპირველესად, უთავმოყვარეობის სიმბოლოსა და ყოფილი სამშობლოს ავთვისებიან სიმსივნეს – „ვივამედის“ კლინიკის ლუქს-პალატაში მონებივრე ფიურერ სააკოვზე დავასველოთ სიტყვა, ვინაც, თითქოს ძველი ცოდვები არ ჰყოფნიდეს, ბრალის დასამძიმებლად „სატოპკეებს“ სისტემატურად უწევს სამართალდამცავებს და ხელისუფლების დამხობის მიძამისის – თემურ ალასანიასეულ გეგმებს იდეურად ამზადებს. აღარაფერს ვამბობ მოქმედ პრეზიდენტ ზურაბიშვილისადმი ყოვლად უღირს შეწყალების თხოვნაზე – გეგონება, კრიმინალთა ზეობის ხანაში სწორედ მას არ ჰყავდეს საფრანგეთიდან პომპეზურად მოწვეული მადამ სალომე დათხოვნილ-გამუნძულებული საგარეო საქმეთა ხანმოკლე მინისტრობიდან.

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, რაღაა გასაკვირი – მოდელირებული ქრონიკის ნაპროკურორალი რეუისორი გვარამია არ იყო, რამდენიმე თვის წინათ რომ თავისუფლებაზე გამოუშვა? – ის ხომ პირდაპირ ეთერში აგინებდა მდედრს?

ახლა კი, მოდით, ჰალსტუხიღეჭია ნამთავარსარდლევის გახლეჩილ პირმშოს – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასაც“ დავუთმოთ ყურადღება, რომლის ერთიანობაც მხოლოდ ტკბილ მოგონებად დარჩა მის მომხრეთა საკმაოდ შეთხელებულ არმიას. მართლაც, როცა „პარადის“ წაყვანას უსუსურად ცდილობს კეზერაშვილ-მერაბიშვილის კომიკურ-ტრაგიკული ფავორიტი „ხაბე“, საერთოდ როგორღა ესინჯება პულსი „ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას“? ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ყოფილ პარტნიორებზე ათაშანგივით აკიდებული სამწევრიანი „სტრატეგია აღმაშენებლის“ მოლაყბე თავის „ჭიჭე“ ვაშაძის ფაქტორი, რომელიც გაზუთხულ დაშტამპულ ტექსტებს მანჯგალაძისა და ჩიხლაძის პირით ლუღლუღებს.

რაც შეეხება ახალი მენეჯმენტის მიერ გარიყულ მეორე ფრთას, ნიკა მელია იხტიბარს არ იტეხს და საკუთარი ოფისიდან უმტკიცებს ერთგულებას „თანამედროვე საქართველოს არქიტექტორს“, მაგრამ მათი ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების მსგავსი ურთიერთობა თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ უნდა აეკიდოს მკვდარი მკვდარს.

მოკლედ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ოფიციალურად მონიჭების მოახლოების პარალელურად „ნაცუძრაობის“ თავს ავისმომასწავებელი ღრუბლები სულ უფრო იქუფრება, მათ გაფანტვას კი ამაოდ ცდილობენ არამარტო შინ, არამედ კუბილიუს-ფოტიგა-ფონ კრამონ-გლუქსმანები – გაისად ხომ არჩევნები ევროპარლამენტშიცაა დანიშნული და მათ საკუთარი თავსატეხიც ეყოფათ.

გია პლატონიშვილი

– გატონო გურამ, არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის ლიდერად მოგვევლინება. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია მისი შანსი, გახდეს ოპოზიციური ფლანგის წამყვანი ფიგურა?

– მე პირადად მივესალმები, რომ ის ამ განულებული რეიტინგის მქონე ოპოზიციის ლიდერი გახდეს, ვინაიდან ოპოზიცია ამით კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდება და კიდევ უფრო მეტად გაშიშვლდება მათი მიზანი. გულწრფელად გამიხარდება, თუკი სალომე ზურაბიშვილი ნიკა გვარამიას, ნიკა მელიასა და მამუკა ხაზარაძის უფროსი გახდება! როგორ მოხდება ეს, ამას მე ვერ გეტყვით, რადგან ამას მათი უცხოელი პატრონები გადაწყვეტენ. ისე კი, არც ზურაბიშვილს და არც ოპოზიციას არავინ შეეკითხება, თუ როგორ და რა კონფიგურაციით მოუწევთ საარჩევნოდ გამოსვლა.

– ისევ „ლე მონდთან“ ინტერვიუს რომ დავუბრუნდეთ... პრეზიდენტს ჟურნალისტმა შეკითხვა მიხეილ სააკაშვილის შესახებაც დაუსვა და, შეიძლება ითქვას, რომ ზურაბიშვილმა პირდაპირი პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. როგორი მოლოდინი გაქვთ, ნიკა გვარამიას შეწყალების შემდეგ, წავა თუ არა მოქმედი პრეზიდენტი ვა-ბანკზე და შეიწყალებს თუ არა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტსაც?

– ასეთია აგენტის ხვედრი, მას არავინ ეკითხება, რა უნდა გააკეთოს და რა არ უნდა გააკეთოს, რა უნდა თქვას და რა არა, ამას არა თავად, არამედ მისი უფროსები წყვეტენ! თავის დროზე ხომ თქვა ზურაბიშვილმა: „არა და არ-ასოდესო!“ ახლა კი, ამას ვეღარ ამბობს, რადგან ასე უკარნახეს პატრონებმა. ამ ნაბიჯის გადადგმისგან ზურაბიშვილი ჯერჯერობით თავს იკავებს იმიტომ, რომ გვარამიასგან განსხვავებით, სააკაშვილს ბრალეულობა დადასტურებული აქვს და ამ ქვეყანაში ყველამ კარგად იცის, თუ როგორი დანაშაულებრივი ხელისუფლება და რეჟიმი ჰქონდა მას შექმნილი. ეს ყველაფერი საერთაშორისო სასამართლომაც აღიარა, ასე რომ, მისი შეწყალება მარტივი არ იქნება, მაგრამ თუკი ის ამ ნაბიჯს მაინც გადადგამს, მალე მოუწევს, „ვივამედში“ სააკაშვილს ჩაენაცვლოს.

– რამდენიმე დღეა, ჟურნალისტები პრეზიდენტს უსვამენ შეკითხვას, არის თუ არა ოლიგარქი დავით კეზერაშვილი, ზურაბიშვილი კი, ამ შეკთხვაზე პასუხის გაცემისგან თავს იკავებს. რა ფენომენთან გვაქვს საქმე, თქვენი აზრით, რატომ არ შედის დაპირისპირებაში პრეზიდენტი ოპოზიციის მთავარ დამფინანსებელთან და რაზე მიგვანიშნებს ზურაბიშვილის ეს დუმილი?

– ეს ვიგულისხმე სწორედ, როცა ვთქვი, რომ რთული ხვედრი აქვთ უცხოური ძალების აგენტებს-მეთქი... მათ რეზოლუციაში ევროპარლამენტსაც კი ჩააწერინეს, რომ მიძინა ივანიშვილი ოლიგარქი უნდა ყოფილიყო, დავით კეზერაშვილი კი – მედიამაგნატი. ეს მაშინ, როდესაც კეზერაშვილის ოლიგარქობა „მიმისიმ“ და მევრმა სხვა საგამოძიებო საშუალებამ დაადასტურა. კეზერაშვილი რომ ოლიგარქია, ამას თავად ოპოზიციის წარმომადგენლებიც აღიარებენ, მაგალითად, ნიკა მელია. მეტიც, თავადაც კი არ მალავს, რომ ოპოზიციურ პარტიებს აფინანსებს. ამ დროს შენ, სალომე ზურაბიშვილი, ვერ ამბობ, რომ კეზერაშვილი, რომელსაც აღიარებული აქვს ოლიგარქობა, ოლიგარქია და მიძინა ივანიშვილზე გაიძახი, რომ ოლიგარქიაო, რომელზეც არანაირი თეორიული მტკიცებულებაც კი არ გაგაჩნია! ეს უკვე დაუფარავად ნიშნავს იმას, რომ ჩაეწერე ფოტიგებისა და კუბილიუსების სიაში და დადასტურებით ხარ უცხოური ძალების პირდაპირი აგენტი.

– დამოლოს, თქვენი აზრით, ვისზე გააკეთებს წინასაარჩევნოდ კეზერაშვილი ფსონს და იქნება თუ არა კეზერაშვილის არჩევანი საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი?

– შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ვერც გახარია, ვერც მელია და, მითუმეტეს, ვერც გვარამია ზურაბიშვილის უფროსობას ვერ აიტანენ! თუმცა, ეს არც იქნება მათი გადასაწყვეტი... ჩემი აზრით, პრაქტიკულად გამორიცხულია ოპოზიციის გაერთიანება, მითუმეტეს ზურაბიშვილის ფრთის ქვეშ. მას არანაირი მხარდაჭერა არ გააჩნია და, თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ოპოზიცია მას მხოლოდ მაშინ ეკეკლუცება, როცა ის რაღაცაში სჭირდებათ. სხვა შემთხვევებში კი, მას „სხვისი თამაშით მოთამაშედ“ მოიხსენიებენ. ასე რომ, სალომე ზურაბიშვილს ოპოზიციის ლიდერად ქცევის არანაირი შანსი არ გააჩნია!

ემზარ კვიტაიშვილი

კეშას თავგადასავალი

31.01.2020 – 01.03.2020

ყოველი ცოცხალი არსების სიკვდილი საშინლად მთრგუნავს, გუნებას მიშხამავს. ადრეული ბავშვობიდან მოყოლებული, არაერთი, ასეთი სავალალო, გულდასაწყვეტი შემთხვევის გახსენება შემიძლია.

წლევანდელ ახალ წელიწადს ბაქარმა თავისი ბიჭის, ჩემი საფერებელი პირველი შვილიშვილის, ანდრიას გასართობად, ზოომაღაზიაში, მომცრო, თეთრი თუთიყური შეიძინა და თან წვრილი, ვერცხლისფერი მავთულით მოწნული, ლამაზგუმბათიანი გალიაც მოაყოლა, ყველანაირად გამართულ-გაწყობილი. წყლის თასი ცალკე აქვს გვერდზე, მოსახერხებელ ადგილას, ჩამოკიდებული. საკენკის ასეთივე პრიალა ჯამი - ცალკე. თაღისკენ საქანაო, სარწევი მოწყობილობაა ჩამოკონწიალებული. ერთგან გლუვად გამოთლილი, თხელი და მრგვალი, ჩამოსაჯდომად, მოსასვენებლად განკუთვნილი, ხელისგულისსიფართე ფიცარია დატანებული. სხვადასხვა ზომის ორკაპა, ქერქგაცლილი, გატყავებული ჯოხებიცაა, გარდიგარდმო გასადები, სახტუნაო. ჩინელ ოსტატებს გალიის ბინადრის ყველა სურვილი თუ ახირება გაუთვალისწინებიათ.

ანდრია, ჯერჯერობით, მეორე, ჩემზე ახალგაზრდა და შეძლებულ ბაბუასთან იმყოფება, თავის სეხნიასთან, ლარსის გადაღმა. როცა ჩამოვა, ვიცი, დიდად გაახარებს მფრინავი საჩუქრის დანახვა, მაგრამ ხელში არ დავაჭერინებთ – უმალ დაფხოჭნის და აატირებს. ჯობია, ასე შორიდან, მობილურით უცქიროს და მიესიყვარულოს. ბაქარმა მას კეშა დაარქვა და მომეწონა, თუთიყუშისთვის შესაფერისად ჟღერს ეს სახელი. რომელიღაც ზოოლოგის წიგნში წავიკითხე – ოხრახუშის მიცემა არ შეიძლება, ბუმბულს გააცვენს, გაიქუცება და მოკვდებაო. ჩემმა შვილმა, წვრილ საკენკთან ერთად, რაღაც მწვანილიც დაუკეპა და დაუყონებლივ შესანსლა. მადას არ ემდურის, მაგრამ გალიაში გამოკეტვას, ლაღად ფრენას ამჯობინებს. ნამეტანი სწრაფი და შეუპოვარია, სანამ გარეთ დაფრთხიალობს, კარ-ფანჯრები დაკეტილი გვაქვს. არც ისე იოლი მოსახელთებელია, უკან რომ შევაბრძანოთ. გული თუ მოიჯერა, ზოგჯერ თვითონ მიაკითხავს მიჩენილ საცხოვრისს. რამდენიმე ზიგზაგურ წრეს რომ დაარტყამს, თავსა ან მხარზე დაგასკუპდება. შიგადაშიგ, შესაძლოა, მაგრადაც ჩაგინისკარტოს, ჩაგცხოს. მისი მოსაზრებულობითა და ფაცხაფუცხით ჩემი აღფრთოვანება ლექსად გამოვხატე („ანდრიას თუთიყუში“) და ვგონებ, ურიგო არ უნდა იყოს:

კაცის ალღო აქვს, გაჩენილს ჩიტად,
იგრძნო შემოჭრა პირველი სხივის,
მისია დილა, იძახის: „ჭიტა!“ –
სიხარულისგან ჭყლოპინებს, ჭყივის.
ზის გალიაში, არავინ გეშავს,
წინ გაუშლია საკენკის კალო,
შემშალა, რა ხმებს გამოსცემს კეშა,
თავისი ჭკუით, კიდევაც გალობს.

მსგავსია მაგნოლიის ყვავილის,
პაწია, შავი, სარსალებს ენა,
შაშვს და ჩხიკვს მაძავს
ჭახჭახ-ჩხავილით,
ყველაზე მეტად უხდება სტვენა.

კარს გაუხსნი და დაიწყებს ფრთხიალს,
მხრიდან ინაცვლებს საწოლის ქიმზე,
შიშობ, არ დაგრჩეს ფანჯარა ღია,
მოცვის თვალებით, გვერდულად
გვიმზერს.

უნდა იფრთხილო, დაგკორტნის მყისვე,
არ ღირს ნისკარტთან თითის მიტანა,
მთელი დღე კეშას რულადებს ვისმენ,
არვის ჰყავს თუთიყუში მისთანა.

იანვრის ბოლო, ასისინებული, ძვლების გამთოშავი უთოვლო და უსიამო დღე ამით შევიმსუბუქე. რაიმე მოზრდილის და მნიშვნელოვანის დასაწერად ამჟამად არ ვარგივარ. არ მინდა თავს ძალა დავატანო ისევ კეშუნიას უნდა დავაკვირდე, შევხედო, რა ახალ თვისებებს გამოამჟღავნებს. ორი დღის მერე, როცა თავისი სილამაზით განთქმული ხეობიდან უფლისწული ანდრია დაგველაპრაკა და მოგვიკითხა, როგორ ხართო, ისევ წამიცდა ლექსისკენ ხელი, თხუთმეტიოდე წუთში დაიწერა, მაგრამ წინაზე პატარაა, უფრო სამხიარულო-სალაღობო ხასიათისაა. გამოკვეთილი შინაარსი არა აქვს და ასევე უბრალოდ დავასათაურე – „მოსიყვარულება მანძილზე.“ თუ რატომ, ახლავე შეიტყობთ:

მობილურში აჭყლოპინდა
ანდრიკელა – ბარტყი,
სიხარულისაგან თავი,
ლამის ჭერს მივარტყი.

გავხალისდი და გუნება
აღარა მაქვს ქუში;
ცალკე ჭყავის, დახტის კეშა,
მისი თუთიყუში.
იზმორება ბუბუსია,
ჩვენი რუხი კატა;
ვუვლი ამათ, საზრუნავი
ერთობ მომემატა.

დაუდგრომელი, ფიცხი ხასიათიდან გამომდინარე, რატომღაც მგონია, კეშა მამალია, სისხლი აწყვება და მწვავედ განიცდის დაცალკევებას, მარტოობას, გრძნობის გამზიარებელი მეგობარი სურს. მე საიდან მოვუყვანო სატრფო. თანაც ბაქარმა რომ იყიდოს, ხომ შეიძლება, ისიც მამალი გამოდგეს და ერთნაირსქესიანთა შეწყვილება მთლად მოსაწონი საქციელი ვერ იქნება; თანამედროვე მსოფლიო ისედაც გზას აცდენილი, არეული და აზელილია. ამ და სხვა საწუხარებზე ვიყავი დაფიქრებული, საგონებელში ჩავარდნილი, რომ ისევ ამეტორღიალა ნაუცბათევი სტრიქონები და იმ ორს მესამეც მივაყოლე, შედარებით მოზრდილი და შევეცადე, უფრო სრულად, შთამბეჭდავად წარმომედგინა მისი პორტრეტი.

რახან პატიოსნად გავწიე შრომა, სათაურიც შესაფერისი მოვუძებნე – „ღვთის ჩიტუნა“:

თუთიყუში, კეშა, ჩვენი
ხან ჩხავის და ხან გალობს;
სუფთას, სანაქებოდ მოვლილს,
რაღა აქვს საკანკალო?!

ვერ მოვგვარეთ გულისსწორი,
არა ჰყავს მონაგარი,
თუ მოსწყინდა, გალიის კარს
უღებს ხოლმე ბაქარი.

მაშინ უნდა ნახოთ მისი
ფრთხიალი და ფეთება;
რასაც ხედავს, წინ თუ უკან,
სუყველაფერს ედება.

მხარზე მაზის, ბედი მწყალობს,
მომივიდა მე შაში;
მიქცევს, მართობს, არ დავმალავ,
მშურს სიმარდე კეშასი.
ზოგჯერ კიდეც მსიამოვნებს
მისი კვნესა, გნიასი;
მთლად მალამოდ დამედება –
ჩამოსვლა ანდრიასი.

ბოლო, მღელვარედ ჩავლილ ათეულ წლებში ბევრჯერ ვყოფილვართ იმისი მოწმე, რომ ხელისუფლების დასამხობად დარაზმულ, მგზნებარე რევოლუციური ლოზუნგების გადმომსროლელ მოიერიშე აქტივისტებს აპატიმრებდნენ და მათი გარეთ დარჩენილი, განერებმომარჯვებული მომხრეები დატუსაღებულთა დაუყოვნებლივ, უპირობო გათავისუფლებას ითხოვდნენ, ქუჩები გადაჭრელებული იყო უკმაყოფილოთა წარწერებით – თავისუფლება ამას, იმას და კიდევ იმასო. ჩამოთვლა ბევრ დროს წაგვართმევს, ისედაც გვახსოვს საკნებში მოთავსებულთა ვინაობა. იმ წარწერათა ნაწილი (ცარცითა თუ საღებავით მიჯღაბნილი), ზოგიერთი შენობის ფასადზე ახლაც იკითხება. ვერის ბაღის განაპირას, რკინის ბადესთან, ბეტონის ფილაზე. ასეთი მოწოდებაც ვიხილე: „სისტემა უნდა შეიცვალოს!“ რას გვპირდება სამაგიეროს ამის წამწერი, ეს მისი საიდუმლოა.

ტალღობრივ არეულობას, მეტწილად, საქართველოს დაუძლურებით დაინტერესებული ძალები გეგმავენ, აფინანსებენ და წარმართავენ. ჭკუის სასწავლად მარტო ტროას ცხენივით შემოგდებული, ჩვენი კატასტროფულად დამაქცევარი „ვარდების რევოლუცია“ და ნაცთა უსაზიზღრესი ნარჩენებიც გვეყოფა. ჭეშმარიტად საკვირველია, რამდენ წნეხს უძლებს ჩვენი განაწამები სამშობლო.

მუცლის ღრუს ოპერაციის შემდეგ, გაკერილ ჭრილობაში ქირურგი ჭუჭყიან ბინტს ანდა მაკრატელს რომ ჩატოვებს და ამის გამო ავადმყოფი, თანდათან განვითარებული პერიტონიტისგან იღუპება (უცხო სხეული ორგანიზმს რა სიკეთეს დამართებდა) დაახლოებით ისეა ჩვენი მდგომარეობა; თუ საბოლოოდ, თავი არ დავაღწიეთ ამ გაუსაძლის, ძალად შემოტენილ ჭირს, ყველას გადაგვიყოლებს.

მე, ამის პარალელურად, ჩემი საჯავრელი მქონდა. კეშა სულ უფრო და უფრო ვერ ეგუებოდა გალიას, ბასრი, ალესილი ნისკარტით კინაღამ გაკვნიტა პრიალა, უჟანგავი მავთული. იმ დღეს ნამეტანი აიფოფრა, იქით-აქეთ ეხეთქებოდა. ვერ შევძელი, თანაგრძნობა არ გამომეხატა და ასე გაჩნდა – „ძნელია ტყვეობა“:

გაშლა მოუნდა ფრთეებისა,
ხტის, ჭყივის, თვალებს კვესავს;
ლამის გავაკრა გალიას:
„თავისუფლება კეშას!“
თითს უქნევს, თანაც მუქარებს
აყოლებს მაგარ-მაგარს;
მოსკლინტა მთელი ბინაო,
არ ებრალება ბაქარს.
რა მარდად დაფრთხიალებდა,
ასე არ იყო გუშინ;
ვერ დავაწყნარე,
ქოთქოთებს
ქათქათა თუთიყუში.

დამიდგა ნანინანატრი დღეები. ანდრია ცოტა ხნით ჩამოიყვანა დედამისმა და დილიდან საღამომდე არ შორდებოდა გალიას. თავს დასტრიალებლა კეშას, ეკურკურებოდა. ყველა სათამაშოსა და გასართობზე მეტად შეიყვარა. მათი ზღაპრული ურთიერთშეხმიანება, სიამტკბილობა მალე დამთავრდა. ჩემი ენაჭიკჭიკა, დახატული, ზოგჯერ ბრაზიანი ბიჭი ისევ გაუყენეს ვლადიკავკაზის გზას და ისევ ძველებურად მოვიწყინე, მოვუხშირე ხის აივანზე განმარტოებით ჯდომას. მერე კვლავ კეშასკენ მივმართე ყურადღება, არაფერს ვაკლებდი. მეტს და მეტს რომ ვაკვირდებოდი, კიდევ უფრო მეტად მაკვირვებდა. ყველა მისი ოინის ლექსად გადმოცემა ძნელი იყო, მაგრამ მთავარი გმირობანი მაინც აღვნუსხე აცა-ბაცა, აჩქარებულ სტრიქონებში. დაუფარავად გამოვლენილი საჩოთირო საქციელისთვისაც არ ამივლია გვერდი. ჩემს გაოცებას მომდევნო, რამდენიმე, ჩვენი საცხოვრისივით არეულ-დარეული სათაურიც მიგახვედრებთ – „უცნაური ფრინველი“:

შემეჩვია ანდრო ბიჭის
თუთიყუში კეშა,
კინკრიხოზე მასკუპდება,
ასე ვინ დაგეშა!
თუ გაცეცხლდა, კიდეც დაგკბენს
ანჩხლი და ქვეშქვეშა,
სახე უცებ ექუფრება,
გამომხედავს ქეშად.
გინდ ქოჩორზე მოქაჩე და
გინდ შემოჰკარ ტაში,
დიდად არ ეპიტნავება
ყოფნა გალიაში,
იცდის, კარი რომ გავუღოთ,
გაიხარებს მაშინ.
ადგილიც აქვს შერჩეული,
ჯდება კარადაზე,
ჩიჩილაკი წააქცია,
აყირავებს თასებს,
მოგვანატრა მყუდროება,
გვირევს ოჯახს ასე.
ყველას მოფერება უნდა,
დაინახავს ვისაც,
აქ რომ იყო ანდრიკელა,
ბევრჯერ აკისკისა,
ჩვენი ფისოც შეეგუა
ონავავრობას მისას.

უთუოდ ცალკეა აღსანიშნავი, რომ დილის დადგომას ყველაზე ადრე კეშასგან ვიგებდი. შემომესმებოდა მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი მსტვენავი კვნესა. ეს იყო ალბათ გაუცნობიერებელი მონატრება ბრაზილიის უსიერი ტყეების, ტანმაღალი ხეების, რომლის ტოტებს შორის ოდესღაც მისი წინაპრები გუნდ-გუნდად დაჰქროდნენ, მრავლდებოდნენ. ტროპიკების ლაღ პირმშოს, ოთახის ჰაერი, რაც არ უნდა გაგენიავებინა, რაღა თქმა უნდა, არ სიამოვნებდა. როგორღაც მახარებდა მისი სიახლოვე.

ჩემი მხრივ, უმადურობა იქნებოდა, სიკეთე სიკეთით არ გადამეხადა და იგი, რამდენადაც ხელმეწიფებოდა, არ შემექო. არაფრით მეგონა, ხალისიან დღეთა მდინარებას უეცრად რაიმე თუ დაარღვევდა. სხივჩამდგარი, იმედიანი, აუმღვრეველი განწყობილება ამ მომფერებელი ლექსიდანაც („გათენებას გამცნობს“) გამოკრთის:

ჩემი გამომღვიძებელი,
თვალის გამომხელი,
ისე უსტვენს კეშა, მინდა
დავუკოცნო ყელი.

ძვირი შესანახი გახლავთ,
დიდიც ადევს ფასი,
მიყვარს ცქერა გრძელქოჩორას,
ნისკარტკაუჭასი.

ისე მართობს, არ ვახსენებ
თეატრსა და კინოს,
არა მგონი, ეს ჭყლოპინი,
როსმე, მომეწყინოს.

ზედმეტია ჰაი-ჰუი,
წუწუნი და ხვნეშა –
მხიარული,
მოჭიკჭიკე,
გვერდით თუ გყავს კეშა.

რას ვიფიქრებდი, თუ წელიწადის ყველაზე მოკლე თვე, თებერვალი, ასე გულისმომკვლელად დასრულდებოდა. ჯოჯოხეთური დღე გაგვითენდა. ბაქარმა ადრე დილით, დადუმებული გალიის ფსკერზე გაფიჩხული, სულგავარდნილი დაინახა ჩვენი სადაფივით გასრიალებული, ჩვენი დაუვიწყარი თუთიყუში კეშა. თავზარი დამეცა, ავტირდი. მღელვარებისგან წნევამ ამიწია. უბედურების მიზეზი ჩემმა ბიჭმა მალევე გაარკვია. სარკმელთან, თაროზე, სარეცხის ნაირნაირი ფხვნილები იყო ჩამწკრივებული - „არიელი“, „ტაიდი“, „პერსილი“, „სავექსი“, „ბიმაქსი“. ბაქარს რომელიღაც წყლიან ტაშტში ჩაეყარა, გაეხსნა და ტაშტი აბაზანის თავზე შემოედგა. ის საცოდავი ღიად დარჩენილი კარიდან შეფრენილიყო, ქიმიური ფხვნილით გაჯერებული წყალი მოესვა და მოიწამლა. გალიაში მიბრუნებული, რამდენიმე წუთში კიდევაც გაიგუდა. ჩვენ, შუაღამისას, რას გავიგებდით, ანდა რაღას ვუშველიდით. დაღონებულმა ბაქარმა მასავით თეთრი აბრეშუმის ნაჭერში გაახვია, წაიღო და ვერის ბაღში, ხის ძირას, დამარხა. ამ მომცელავმა ელდამ, გამწარებულს, ხუთსტროფიანი, თალხგადაკრული, სუდარასავით ნაღვლიანი ლექსი („ცარიელი გალია“) დამაწერინა:

ყვითელქოჩორა, მარდი,
ფრინველი ერთი მუჯა,
მოგვიკვდა ჩიტი კეშა,
თვალები დაეხუჯა.
როგორ მოგვიკლა გული,
საუბედუროდ ჩვენდა,
ოცდარვა თებერვალი,
რა შავად გაუთენდა.
ოთახში, აღრე დილით,
არ ისმის ჭიკჭიკ-სტვენა,
აღარ გვაჯდება მხარზე,
მზე, მისი, ჩაესვენა.
გალობის, მოუწყინრის,
ძაფზე იცოდა გაბმა;
დაგვეხრჩო, მოგვეწამლა,
ფხვნილის იმსხვერპლა ქაფმა.
დადგომას, გაზაფხულის,
ვეღარ მოესწრო კეშა...
დაძვრაც არ მინდა სიტყვის,
ნაღველმა გამაშეშა.

დავიტირე ცოტა ხნის წინ სიცოცხლით სავსე, მოუსვენარი, მაგრამ ამან ვერავითარი შვება ვერ მომგვარა. სინანული ყოველთვის დაგვიანებულია. ის კი გავიფიქრე, ნეტავი ეცოცხლა და არ დავიჩივლებდი, ჩვენი მოუწესრიგებელი საცხოვრისი კიდევ უფრო რომ აეგურდა, თავდაყირა დაეყენებინა. მისი სიკვდილის მეორე დღესაც დავწერე მცირე ელეგია – „წავიდა გათენების მახარობელი“, რითაც გამოვემშვიდობე ჩვენს დამამწუხრებელს, კარს მომდგარ გაზაფხულს რომ ვეღარ მოესწრო:

უცებ დამეხშო ორთავ ყური,
ესაა გულში გაყრა ნემსის,
მეორე დღეა, საამური,
მისი ჟრიკჟრიკი აღარ მესმის.
შემოჭრას გვაუწყებდა სხივთა,
ფარავს საუფლო – ბნელი, ქვეშა,
კლანჭები, გრძელი, გაუცივდა,
აღარ ფრთხიალებს ჩვენი კეშა.
აღარ სწყურია, აღარც შია,
დანებდა სამუდამო დუმილს;
მოშარიშურე, მიწაშია,
მისი ბუმბულის აბრეშუმი.

დედულეთში მყოფ ანდრიას, რომ არ აღრიალებულიყო, დავუმალეთ მგალობელი ჩიტის დაღუპვა, მოვატყუეთ, ღია ფანჯრიდან გაგვიფრინდა და ტყეში დაგვემალაო. დაგვიჯერა, არ დაუეჭვებია ჩვენს ყასიდად ნათქვამს. ბავშვები გულუბრყვილონი, მიმნდობები არიან, მათთან ყოფნას არაფერი ჯობს.

ერთადერთი თვე დასცალდა საბრალო კეშას ჩვენ ჭერქვეშ ნებიერი ფოფინი და ამ ხსნის მანძილზე შვიდი დიდ-პატარა ლექსი ვუძღვენი. ერთი წელიწადი მაინც რომ შემოგვრჩენოდა, კარგა მოზრდილი წიგნი დაიწერებოდა, მაგრამ ახლა ვეღარაფერს გავაწყობდი და, სახელდახელოდ, მცირე ციკლად შევკონე ის, რის ცალკე გამოქვეყნებასაც ზემოქმედების ძალა არ ექნებოდა. ვიფიქრე, შედარებით დალაგებულად მოყოლილი, რაღაც იერს შეიძენდა და მეც ვალს მოვიხდიდი უწყალოდ გამქრალის წინაშე. მარტოდ დარჩენილს, წინასწარ მიპყრობს შიში, ვიცი, დროდადრო, შუაღამისას, ჩამესმება კეშას სასოწარკვეთილი, საშველად მომხმობი წივილი და აღარ დამაძინებს.

სახელის მოსაპოვებლად დიდად რომ არ ვირჯები (ეს ყოვლად უაზრო სისულელედ მიმაჩნია) ყველაფერზე მეტყობა. მხოლოდ იმას ვლამობ, ადამიანების ერთ ნაწილს გაქვავებული გული მოვულბო, რათა ბოლომდე არ გამხეცდნენ, ოდნავ უკეთესები გახდნენ, ვიდრე არიან, მთლად არ დაკარგონ სიბრალულის გრძნობა, ირწმუნონ, რომ მათ გაჩენაში ღმერთის ხელი ურევია.

რედაქციისგან:

ჩვენს სასიქადულო პოეტს და ქართული ლიტერატურის უბერებელ ვარსკვლავს ემზარ კვიტაიშვილს დღეს დაბადების დღე აქვს. გულწრფელად ვულოცავთ გამოჩენილ მწერალს და ქართული სიტყვის დიდოსტატს საკუთარი ასაკის უსასრულობაში გადასვლას (88 წელი) და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს ვუსურვებთ!

ქეთევან დედოფლის საიუბილეო თარიღები

ძვირფასო თანამემამულენო! მოგეხსენებათ, რომ 2024 წელს სრულდება დიდმოწამე ქეთევან დედოფლის დაბადების (ქართლი, მუხრანი, 11.III.1573) 450 და მოწამეგრვივი აღსასრულის (ირანი, შირაზი, 13.IX.1624) 400 წლისთავი.

„ივერიის მნათობად“ წოდებული წმიდა ქეთევანის, როგორც კახეთის სამეფოს მეთაურის ნიჭიერება და სახელმწიფოებრივი აზროვნება, დიპლომატიური უნარი, პიროვნული ღირსებები და მართლმადიდებლური რწმენისათვის თავგანწირვა მალევე გახმაურდა მთელს ევრაზიაში და აისახა 11 ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალ ნაწარმოებში.

ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილები და მასთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოს ხუთი ეკლესიის გარდა განეფინა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: სახელდობრ, ინდოეთში, ირანში, რუსეთში, იტალიაში, ბელგიაში, ინგლისსა და პორტუგალიაში.

ამჟამად, როცა საქართველო ისტორიულად კუთვნილ ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო თანამეგობრობაში, უმნიშვნელოვანესია, რომ ყველა ჩვენგანმა გააცნობიეროს ქვეყნის სულიერი მისია და საკუთარი მოქალაქეობრივი მოვალეობა-პრინციპი: **„რას ვაძლევ მე ჩემს სამშობლოს“** და არა **„რას მაძლევს ის მე“**.

ასეთ ვითარებაში, ქართველ მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა და საქართველოს საპატრიარქოსა და მთავრობას წარუდგინა განცხადება-პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქეთევან დედოფლის დაბადების 450 და აღსრულება-წამების 400 წლისთავისადმი მიძღვნილ მრავალფეროვან საერთაშორისო სამეცნიერო-შემეცნებით, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებებს.

საიუბილეო ღონისძიებისათვის მზადება და აქტივობები დაიწყო დიდმოწამის მშობლიურ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში, სადაც შენდება წმინდანის სახელობის მონასტერი და მისი დაბადების დღის აღსანიშნავად დაწესდა „გაზაფხულის ქეთევანობა“.

* * *

მასშტაბური ღონისძიება იყო გაერთიანებული ექსპედიცია – **„ქეთევან დედოფლის კვალდაკვალ“** (მარშრუტი: თბილისი – უჯარმა – გომბორის უღელტეხილი – ალავერდი – თბილისი), რომელიც ახლახან, 4 ნოემბერს განხორციელდა. აღნიშნულ ექსპედიციამდე საინიციატივო ჯგუფმა ქეთევან დედოფლის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა შესახებ მოახსენა საქართველოს ემიგრანტთა ყრილობას (21..IX.2-23) და მოძრაობის მხარდამჭერთა შეკრებას სამების ტაძრის ახალგაზრდულ დარბაზში (24.IX.2023). ასევე მნიშვნელოვანი იყო საუბრები ალავერდის ტაძარში, სადაც ექსპედიციას მაღალყოვლადუსამღვდელოესმა დავითმა (მახარაძე) აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა უმასპინძლა.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ, საქართველოს სხვადასხვა მხარის შვილები, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები: ბაბუა ალუდაური, ვანო გიგიტელაშვილი, გივი გიორგაშვილი, თემურ გიორგაძე, გიორგი გომიაშვილი, რევაზ თოლორდავა, ბერი იოაკიმე, მევლუდ ლომიძე, გვანჯი მანია, პაატა ნაცვლიშვილი, აზიკო სისვაძე, გიორგი უნაფქოშვილი, თამაზ ფარჩუკიძე, როსტომ შამუგია, თამაზ შარაშენიძე, პაატა შუბითიძე, ვაჟა ჩაგელიშვილი, ავთანდილ ჩხიკვაძე, ედუარდ ხაჟომია.

ახლა მთავრობის წინაშე დგას საკითხი, რომ ცივგომბორის ქედის სივრცეში, რომლის სიგრძეა 107 კილომეტრი, გეოგრაფთა და კარტოგრაფთა მიერ მანამდე შერჩეულ და ექსპედიციის მიერ მოწონებულ ერთ-ერთ უსახელო, გომბორის უღელტეხილის მახლობლად მდებარე (ზღვის დონიდან 1700 მეტრამდე) მწვერვალს ეწოდოს წმიდა ქეთევან დედოფლის სახელი.

საინიციატივო ჯგუფისა და თანამოაზრეთა მუშაობა გრძელდება!

* * *

ველით თქვენს საქმიან წინადადებებს!
საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორთა საკონტაქტო საშუალებანი: 571 075 891; 593 512 747 ელ ფოსტა: tamarparchukidze@yahoo.com. giorgiunion@gmail.com.

საჩუქარი ჩვენი ისტორიის მოყვარულთ

რა ლამაზად აქვს ნათქვამი გალაკტიონს: „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“. უმალ პოეტის ეს სიტყვები გამახსენა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გურამ კუტალაძის მონოგრაფიის „ქვემო ჯავახეთის“ წაკითხვამ. (რედაქტორები: ისტორიის დოქტორები, პროფესორები ვალერი ვაშაკიძე და გიორგი ჯეიშვილი).

პირველი შთაბეჭდილება ის გახლდათ, რომ გრძნობ, ავტორი კარგად იცნობს იმ მხარეს, რომელზეც წერს. სწორედაც! იგი წლების მანძილზე მუშაობდა ახალციხის უნივერსიტეტში და მთელ დროს მესხეთ-ჯავახეთის ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლას ანდომებდა, ღრმად ეცნობოდა შემონახულ წერილობით წყაროებს, მატერიალურ ძეგლებს...

ჩვენი დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი **ვახუშტი გატონიშვილი** წერს: **„ხოლო ჯავახეთი არს ვითარცა თრიალეთი: უვენახო, უხილო, უტყეო. ვიეთთა ადგილთა სწუენ წივასა და მოსავლითაც ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მგზავსი, გარნა უმჯობესიცა. ზამთარი დიდ-თოვლიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი... კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შუენიერ-ჰაეროვანნი, სარწმუნოებით გლეხნი, ჯერეთ ქრისტიანენი სრულიად. არამედ არღარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა ყავთ მღვდელნი ქართველნი. ენა აქუთ ქართული“...**

ჯავახეთი, თავისი საგულისხმო როლითა და საგანგებო, მონაპირე „ქვეყნის“ სტატუსით, საქართველოს სახელმწიფოს დასაბამიერ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა წუნდის საერისთავოს სახით, განფენილს ვეებერთელა სივრცეზე „ფარავნიდგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი“ (ლეონტი მროველი). ურარტული ტექსტების „ზაბახა“ მამამთავარ ჯავახოსის სამფლობელოში შედიოდა.

ავტორი მიმოიხილავს ჯავახეთის საზღვრებს, მის მცირე „ქვეყნებს“. საგანგებო ყურადღებას უთმობს მხარის ორ-ზემო და ქვემო ერთეულებად დაყოფის საფუძველს, რაც დაზუსტებული და დაკონკრეტებულია.

გურამ კუტალაძე ძველ ავტორთა ნაშრომების სკრუპულოზურად შეპირისპირების შედეგად დაასკვნის, რომ XI საუკუნიდან ზემო ჯავახეთის ცენტრად, მის უპირველეს სტრუქტურულ და ეკონომიკურ ცენტრად დაწინაურდა ახალქალაქი, ხოლო ქვემო ჯავახეთს თმოგვი მიეპატრონა. ცალკე თავი ეთმობა ქვემო ჯავახეთის „მიკროქვეყნებს“.

ქვემო ჯავახეთი-წუნდის „ქვეყნის“ ნაწილი, ცალკე ხევების გაერთიანებას წარმოადგენდა. ავტორი საგულდაგულოდ მიმოიხილავს ერთ-ერთ მათგანს – ციხე-ქალაქ თმოგვს და დაასკვნის, რომ ის VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე უნდა აღმოცენებულიყო. ჟამვითარების მიხედვით ხან მთელი ჯავახეთის ცენტრი იყო, ხანაც – მხოლოდ ქვემო ჯავახეთისა. მიმოხილულია აგრეთვე ბუზმარეთი, ხერთვისის ციხე-ქვეყანა.

ავტორი გვაცნობს ორ დოკუმენტურ დამოწმებას იმისას, რომ „ოქროს ხანაში“ ჯავახეთის სამეფო დომენს წარმოადგენდა. წიგნში საგანგებო ყურადღება ეთმობა რეგიონის სოციალური გეოგრაფიის საკითხებსაც, კერძოდ, ქვემო ჯავახეთის წარჩინებული სახლების (თმოგველი, გურგენისძე, შალიკაშვილი და სხვ.) წარმომავლობა-ვინაობის კვლევას. ასევე განხილული და გაანალიზებულია ქვემო ჯავახეთის დემოგრაფიული და საეკლესიო ვითარება.

ქვემო ჯავახეთის დიდებულ საგვარეულოთა არაერთ წარმომადგენელს თავისი ღირსსახსოვარი როლით ღრმა და წარუშლელი კვალი აღუბეჭდავს არა მარტო რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს კულტურულ-ისტორიულ ცხოვრებაში. აი, ისინი გურამ კუტალაძის მოწოდებით: **ჯავახი ერისთავი ფარსმან თმოგველი, რომელიც, საფიქრებელია, რომ მთელი ჯავახეთის ერისთავთერისთავიც იყო; ქართული კულტურის ისტორიაში საყოველთაოდ ცნობილი ფილოსოფოსი, გიორგი III-ისა და თამარის თანამედროვე მოღვაწე იოანე ჭიმჭიმელი; ვარამ გაგელის ძე სარგის I (XII ს. მეორე ნახევარი-XIII ს. დასაწყისი); თაყაიდინ სარგის I-ის ძე (XIII ს. I ნახევარი)...**



დაბოლოს, გურამ კუტალაძის ღირსებათა კიდევ ერთი ნიშან-თვისების საგანგებოდ აღსანიშნავად: წიგნი დაწერილია ძარღვიანი ქართული ენით და სიამოვნებით იკითხება. წიგნს ახლავს დამოწმებული ლიტერატურის შთამბეჭდავი სია (210 ერთეული), პირთა და სატომო სახელთა საძიებელი, გეოგრაფიულ სახელთა ნუსხა. ავტორი თავის ახალ წიგნს ადრე წასული მეგობრების გიორგი ჟუჟუნაშვილის, პაატა ცანკაშვილისა და ზურაბ თოდუას ხსოვნას უძღვნის. წიგნი განკუთვნილია სპეციალისტთა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

ალეკო ასლანიშვილი

ტრიუმფი

ოქროს ციებ-ცხელება

საფრანგეთის ქალაქ ანტიბში მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაციის ორგანიზებით (WUKF) გაიმართა XIII ევროპის ჩემპიონატი კარატეში, რომელშიც 30 ქვეყნის 3000-მდე სპორტსმენს შორის საქართველოდან 25-წევრიანმა დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. ქართველებმა წარმატებით იასპარეზეს და 13 მედალი: 6 ოქრო, 1 ვერცხლი და 6 ბრინჯაო მოიპოვეს.

გუნდური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ოქროს მედლები მოიპოვეს ლუკა ხვედელიანმა, ტატო სამხარაძემ, ჭაბუკა მახარაძემ და ავთო გიუნაშვილმა. საქართველოს ნაკრებმა ტატამზე იტალიის, რუმინეთის, დანიისა და ინგლისის ნაკრებების დამარცხებით გუნდური I ადგილი დამაჯერებლად დაიკავა.

კუმიტეში გუნდური პირველობის გარდა ოქროს მედალი დაიმსახურა ტატო სამხარაძემ უფროსებს შორის ინდივიდუალურ კუმიტეში, ვერცხლის მედალი ტატო სამხარაძემ ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, ხოლო ჭაბუკა მახარაძემ ბრინჯაოს მედალი უფროსებს შორის კატას დისციპლინაში.

გოგონებში ოქროს მედალი მოხვეჭა (U11) ინდივიდუალურ კუმიტეში თამარ ცინცაძემ, ასევე ოქროს მედლები მოიპოვეს ლუკა შანთაძემ და დავით გულოიანმა (U17) აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, კიდევ ერთი ოქროს მედალი კუმიტეში ვეტერანებს შორის ირაკლი ღონღაძეს ხვდა წილად.

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მერაბ ლომაძემ (U17) კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში, დავით გულოიანმა 16-17 წლიანებს შორის კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში, მათე ძიგანაძემ (U17, -55კგ), იოანე ჭუმბაძემ (U9, -40კგ) და თეონა აბრამიშვილმა (U11,-35კგ).

ჭაბუკა მახარაძე, შოტოკან კარატე დოში მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი:

– მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაციის ორგანიზებით (ცგლა) გამართულ, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებსა თუ საერთაშორისო ტურნირებზე 2009 წლიდან სტაბილურად წარმატებით გამოვდივარ და მოპოვებული მაქვს ყველა სინჯის 100-ზე მეტი მედალი: ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო. მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაციის პრეზიდენტია X დანის მფლობელი ლივიუ კრისანი/Liviu Crisan, რომელსაც კარატეში დიდი გავლენა აქვს მსოფლიოს მასშტაბით.

ამჯერად საფრანგეთში WUKF-ის ორგანიზებითა და წესებით ევროპის ჩემპიონატი ძალიან მაღალ დონეზე გაიმართა. ანტიბის სპორტულ არენაზე – Azur Arena Antibes-ზე ბრძოლები 5 დღის მანძილზე ერთდროულად 10 ტატამზე მიმდინარეობდა და ისინი გულშემატკივრებს ონლაინ Live stream/პირდაპირი ეთერის საშუალებითაც შეეძლოთ ენახათ.

ზოგადად რომ გითხრათ, ჩემპიონატებზე გუნდურ კუმიტეს მოგება ითვლება ყველაზე პრესტიჟული კატეგორიად და შესაბამისად, ნაკრებისთვის ძალიან დიდ უპირატესობად.

ანტიბში ევროპის ჩემპიონატზე გუნდური კუმიტეში ჩემთან ერთად იყვნენ ლუკა ხვედელიანი, ტატო სამხარაძე და ავთო გიუნაშვილი. იქ ზედიზედ დავამარცხეთ: პირველ ჩრეში იტალია ანგარიშით 2:0, შემდეგ ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლაში რუმინეთი 2:1, ფინალში კი ინგლისი, რომელსაც 3:0 მოვუგეთ და ოქროს მედლები მოვიპოვეთ.

გუნდური კუმიტეს გარდა, წარმატებით გამოვედი უფროსებს შორის კატას კატეგორიაში, სადაც მაღალი ქულათა ჯამით 3 ჩრე გავიარე. ფინალში 6 საუკეთესო სპორტსმენს შორის საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: I ადგილზე გავიდა სიმონე ოტანავი (იტალია), II ადგილზე სლავა მარტინი (ჩეხეთი), III ადგილი ბრინჯაოს მედლით კი მე მერგო.

მე ყოველთვის ვცდილობ, რომ ყველა ჩემპიონატზე წარმატებით ვიასპარეზო და ღირსეულად წარვადგინო ჩვენი ქვეყანა, რაც დიდი პასუხისმგებლობაა და ასევე დიდი მოტივაცია. ყოველთვის მახარებს, როცა კვარცხლბეკზე ვდგავარ და საქართველოს დროშა ფრიალებს.

აქტიკებში



ჰიმნიც გავაჟღერეთ

საქართველოს 20-წლამდელ ძალოსანთა ნაკრებმა გვადალაჰარას (მექსიკა) მსოფლიო ჩემპიონატზე 5 მედალი მოიპოვა, ცალკეული დისციპლინების ჩათვლით კი – 10. გაიჟღერა საქართველოს ჰიმნმაც.

საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესო შედეგს მიაღწია გოგონათა გუნდის წევრმა მარიამ მურღვლიანმა (87 კგ), რომელმაც ატაცში, აკვრასა და ორჭიდში ოქროს მედლები დაისაკუთრა, რაც ასევე მისი საუკეთესო შედეგიცაა.

ვაჟებიდან ორჭიდის ჯამში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საბა ასანიძემ (81 კგ), გურამ ვეკუამ (102 კგ), ზურაბ მსხალაძემ (89 კგ) და გიორგი კირვალიძემ (109 კგ). მათ შორის, ასანიძემ მესამე ადგილი დაიკავა აკვრაში, ასევე მესამე ადგილზე გავიდა აკვრაში ვეკუა, კირვალიძემ კი ოქროს მედალი მოიპოვა ატაცში.

დღეს წილისყრაა

ჩვენ მე-4 კალათაში ვართ

მომავალი წლის 2-7 ივლისს გაიმართება პრიზის ოლიმპიადის საკალათბურთო საკვალიფიკაციო რაუნდის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრებიც ითამაშებს.

ფიბა-მ მონაწილენი კალათებად დაჰყო და ჩვენი გუნდი მეოთხე კალათაში მოხვდა:

1 კალათა: სლოვენია, ლატვია, ლიეტუვა, ესპანეთი.

2 კალათა: იტალია, საბერძნეთი, პოლონეთი, ბრაზილია.

3 კალათა: პუერტო რიკო, მონტენეგრო, დომინიკის რესპუბლიკა, ფინეთი.

4 კალათა: საქართველო, მექსიკა, ახალი ზელანდია. ლიბანი.

5 კალათა: კოტ დივუარი, ანგოლა, ხორვატეთი, ფილიპინები.

6 კალათა: ეგვიპტე, ბაჰამის კუნძულები, კამერუნი, ბაჰრეინი.

წინასწარ ცნობილია, რომ ერთმანეთთან ჯგუფში მოხვდება მხოლოდ 1, 4 და 5 კალათების გუნდები. ასევე დაჯგუფდებიან 2, 3 და 6 კალათის ნაკრებები. კიდევ ერთი ნიუანსი: ერთ ჯგუფში (ყველა სამგუნდიანია) ერთი კონტინენტის მხოლოდ ორი გუნდი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოსთან ვერ მოხვდება ხორვატეთი, რადგან პირველ კალათაშიც მხოლოდ ევროპული გუნდებია.

წილისყრა დღეს, შვეიცარიის ქალაქ მიესში, ფიბა-ს პატრიკ ბაუმანის სახელობის კალათბურთის სახლში გაიმართება, რომლის შედეგადაც გავიგებთ, ვინ იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები 2024 წლის პარიზის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში და სად ჩატარდება თამაშები.

წილისყრის შედეგად 24 გუნდი 4 ნაწილად გაიყოფა. თითოეული საკვალიფიკაციო ტურნირი ჩატარდება 2-დან 7 ივლისის ჩათვლით სხვადასხვა ქვეყანაში და თითოეულის გამარჯვებული მიიღებს ოლიმპიადის საგზურს. შესაბამისად, ერთ ტურნირში (ლოკაციაზე) თავს მოიყრის 6 ნაკრები, რომლებიც ორ სამგუნდიან ჯგუფად გაიყოფა. ერთი ჩრის შემდეგ თითოეული ჯგუფის 2-2 საუკეთესო ნახევარფინალში ჯვარედინად დაწყვილდება, ხოლო ფინალის მომგები ნაკრები ოლიმპიადაზე ითამაშებს.

წილისყრას გაუძღვება წარსულში ფიფა-ის ცნობილი კალათბურთელი ლუოლ დენგი, რომელიც ამჟამად სამხრეთ სუდანის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. ღონისძიებას დაესწრება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა.

პარიზის ოლიმპიადაზე თამაში გარანტირებული აქვთ: მსოფლიო ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით ევროპისა და ამერიკის ორ-ორ, ხოლო აზიის, აფრიკის და ავსტრალიაჰოკეანეთის თითო საუკეთესო გუნდს: საფრანგეთი (მასპინძელი), გერმანია, სერბეთი (ევროპიდან), აშშ, კანადა (ამერიკიდან), სამხრეთ სუდანი (აფრიკიდან), იაპონია (აზიიდან) და ავსტრალია (ავსტრალიაჰოკეანეთიდან).

ისტორიული პარტნიორობა

სარაგბოც, ტურისტულიც

EPCR და საქართველოს რაგბის მარკეტინგის ჰაბი ტურიზმის სფეროში სამწლიან პარტნიორობას იწყებენ, რომელიც ორივე ტურნირს Investec Champions Cup-ს და EPCR Challenge Cup-ს მოიცავს.

ტურიზმის სექტორში პარტნიორობა პირველია EPCR-თვის და ის ხელს უწყობს საქართველოს, როგორც მიმზიდველი ტურისტული დანიშნულების წარმოჩინებას.

ახალ გეოგრაფიულ ბაზარზე გაფართოება EPCR-სტრატეგიული ამბიციის ნაწილი და საკვანძო ნაბიჯია, რითაც EPCR-ის ტურნირების ცნობადობაც გაიზრდება.

ევროპის პროფესიული რაგბის კლუბი (EPCR) სიამოვნებით აცხადებს რომ იწყებს სამწლიან პარტნიორობას საქართველოს რაგბის მარკეტინგის ჰაბთან, რომელიც Investec Champions Cup-ის და EPCR Challenge სგზის ოფიციალური გლობალური პარტნიორი ხდება.

მსგავსი პარტნიორობა, რომელიც ტურიზმის სექტორს მოიცავს, პირველია EPCR-თვის და ამით საქართველოს როგორც ყველა სეზონზე მიმზიდველი ტურისტული დანიშნულების ხელშეწყობა მოხდება, წარმოჩინდება ქართული ტრადიციები, კულტურა და ადგილობრივი პროდუქცია.

EPCR-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ჟაკ რეინომ თქვა: „ეს არის ძალიან საინტერესო ახალი პარტნიორობა EPCR-სთვის და ჩვენ მოხარული ვართ მივესალმოთ საქართველოს რაგბის მარკეტინგის ჰაბს EPCR-ის პარტნიორთა ოჯახში.

ჩვენი ამბიციური სტრატეგიის მთავარი ღერძი ახალ აუდიტორიებზე წვდომაა და მოუთმენლად ველით როდის გაიცნობენ გულშემატკივრები საქართველოს რაგბისა და რაგბის ფესვებს მიღმაც.

„იმის გარდა, რომ EPCR ტურიზმის სექტორში ოფიციალური პარტნიორი ხდება, სხვა მხრივაც ვაგრძლებთ მომავალი სეზონის წინ პოზიტიურ კომერციულ იმპულსს – მოხარულები ვართ, რომ შტმუთეუს ასევე შეუერთდება EPCR-ს როგორც Investec Champions Cup-ის სატიტულო პარტნიორი“.

ქართულ მხარესთან პარტნიორობა მოიცავს ციფრულ უფლებებს EPCR-ის სოციალურ არხებსა და ვებსაიტებზე, ასევე LED და პერიმეტრულ დაფებს უზსპ-ის მატჩების დღეებში.

საქართველოს შავი ლომი იასპარეზებს EPCR Challenge Cup-ში, როგორც მოწვეული კლუბი, რაც საქართველოსთვისაც და ტურნირისთვისაც ისტორიული მოვლენაა. ამის შესახებ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** განაცხადა.

„ჩვენ უსაზღვროდ მადლობელი ვართ EPCR-ის ამ საოცარი შესაძლებლობისთვის, რომელიც მსოფლიოს საშუალებას აძლევს ნახოს ულამაზესი ქვეყანა საქართველო, ლელობურთის და ქართული რაგბის სამშობლო. დარწმუნებული ვარ, რაგბის გლობალური ოჯახის მრავალმილიონიანი აუდიტორია კმაყოფილი დარჩება დიდებული ღირსშესანიშნაობებით, რომლითაც საქართველო მათ წინაშე წარდგება.

ჩვენ წრფელი გულით, როგორც მეგობრებს ვეგებებით და ველით ჩვენს ქვეყანაში მოწინააღმდეგე გუნდებს და მათ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს. დარწმუნებული ვარ, რომ ტურნირის საზღვრების გაფართოება სარგებელს მოუტანს როგორც რაგბის მთლიანობაში, ასევე საქართველოს. ეს თანამშრომლობა შექმნის ახალ ნიშნულს და მაგალითს სხვებისთვის, რომ მოგვბაძონ.

მინდა მადლობა გადავუხადო პირადად EPCR-ის პრეზიდენტს, დომინიკ მაკკეის და აღმასრულებელ დირექტორს ჟაკ რეინოს, ასევე მათ გამორჩეულ გუნდს უსაზღვრო მხარდაჭერისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.“

რეინომ დასძინა: „ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ საქართველოსთან პარტნიორობა რაგბის მიღმაც გაფართოვდება. ვიცით, რომ ჩვენი კლუბები უსაზღვრო სიამოვნებას მიიღებენ თბილისში მოგზაურობით და ჩვენი გულშემატკივარიც ასევე კმაყოფილი დარჩება საქართველოს ნახვით სტადიონს მიღმაც“.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

საქართველოს მთავრობა უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან კამპანიას, რომელიც ყოველწლიურად 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით იმართება, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ძალადობის პრევენცია, ისევე როგორც მსხვერპლთა დაცვა, საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით, რაც განპირობებულია მულტისექტორული, კოორდინირებული მიდგომითა და მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებით.

ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის საბოლოო ანგარიშში დადებითად არის შეფასებული გენდერულ ძალადობაზე ინსტიტუციების მიერ რეაგირება და ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს პასუხი ძალადობაზე არის ქმედითი და მკაფიოდ განსაზღვრული.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. კამპანიას მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5000-ზე მეტი ორგანიზაცია აღნიშნავს. კამპანიის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა.

ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

რიგით მეორე ეროვნული სიმულაციური ტრენინგის – „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა: უწყებათაშორისი თანამშრომლობის მდგრადობა ეროვნული სიმულაციური ტრენინგის განხორციელების გზით“, დახურვის ღონისძიება გაიმართა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ეროვნული სიმულაციური ტრენინგის მიზანი მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომისა და უწყებათაშორისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის განხორციელების მიმართულებით სფეროში დასაქმებული პრაქტიკოსების უნარ-ჩვევების ამაღლებაა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დანაშაულის დროულ გამოვლენასა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა საზოგადოებაში ეფექტიან ინტეგრაციას.

ტრენინგი უნიკალური შესაძლებლობაა გამომძიებლებისთვის, პროკურორებისთვის, შრომის ინსპექტორებისთვის, იურისტებისთვის, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისთვის, სიმულაციურად შექმნილ, მაქსიმალურად რეალურ და, ამავდროულად, უსაფრთხო გარემოში ჩაერთონ ადამიანით ვაჭრობის შემთხვევის გამოვლენისა და მასზე შემდგომი რეაგირების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ საქართველო არის ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, სადაც სიმულაციური ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სწავლების ერთ-ერთ წარმატებულ მეთოდად დაინერგა. პირველი ტრენინგი 2022 წელს ჩატარდა.

სახალხო დამცველი განათლების მინისტრს შეხვდა

საქართველოს სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი ამილახვარს შეხვდა.

შეხვედრაზე სახალხო დამცველმა მინისტრს განათლების მიმართულებით აპარატის საქმიანობა გააცნო, ისაუბრა ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის დონის ამაღლების მნიშვნელობაზე სამოქალაქო საზოგადოებისთვის და ამ საქმეში სახალხო დამცველის როლსა და აპარატის ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტის მუშაობას გაუსვა ხაზი.

მხარეები მნიშვნელოვან სახელმწიფო სტრატეგიულ დოკუმენტებში ადამიანის უფლებების სწავლების საკითხის გათვალისწინების აუცილებლობაზე შეთანხმდნენ და სამომავლოდ თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაძლიერების პერსპექტივები განიხილეს.



თბილისის მერიაში წარმატებული სტუდენტებისთვის განაცხადების მიღება იწყება!

დედაქალაქის მერიის ცნობით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური წარმატებული სტუდენტების წახალისების პროგრამას 2015 წლიდან ახორციელებს.

„პროგრამა მაგისტრატურის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, თბილისში რეგისტრირებული სტუდენტებისთვის მუნიციპალიტეტის მერიისგან ფინანსური წახალისების გაცემას გულისხმობს. მასში შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ – შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი; სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: არის საქართველოს მოქალაქე; არის თბილისში რეგისტრირებული (არანაკლებ უკანასკნელი 6 თვისა); აქვს მაღალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში – არანაკლებ 91-100 ქულა (ფ კატეგორია – ფრიადი); აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი; არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, უნივერსიტეტებს სიების წარმოსადგენად განესაზღვრათ ვადა 2023 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით.

სტუდენტებმა 24 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით თბილისის მერიის კანცელარიაში (ჟიული შარტავას ქუჩა !7), თბილისის რაიონულ გამგეობებში არსებულ სერვისცენტრებში ან ელექტრონულ პლატფორმაზე – www.ms.gov.ge (ელექტრონული ხელმოწერისთვის აუცილებელი სპეციალური მოწყობილობის არსებობის შემთხვევაში) უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები: განცხადება თანხის მოთხოვნის შესახებ; საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი; წარმატებული სტუდენტის პირადი საბანკო რეკვიზიტები; წარმატებული სტუდენტის თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან (ცნობა უნდა იყოს გაცემული ბოლო სამი თვის განმავლობაში (ცნობას გასცემს იუსტიციის სახლი 10 სამუშაო დღეში); იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში, დოკუმენტი დროებითი რეგისტრაციის ადგილის შესახებ (სარეგისტრაციო წლისა და თვის მითითებით, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან (გაიცემა შემდეგ მისამართზე: მიხეილ თამარაშვილის ქუჩა №15ა).

განცხადების დაწერა და დოკუმენტების ჩაბარება ხდება თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის, ირაკლი გვილავას სახელზე“, – აღნიშნულია **მერიის ინფორმაციაში.**

პრიმინალი

„საუნივერსიტეტო კლინიკის“ თერაპიული განყოფილების ხელმძღვანელს ბრალი წარუდგინეს

საქართველოს პროკურატურამ, პაციენტისთვის ჩატარებული არასათანადო მკურნალობის გამო, რამაც ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება გამოიწვია, „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკის“ თერაპიული განყოფილების ხელმძღვანელს ბრალდება წარუდგინა, – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ახალი კორონავირუსით (SSARS-CoV გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოზით დაზარალებული, 2021 წლის 11 აგვისტოს, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში“ მოათავსეს, სადაც სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობა უტარდებოდა.

„აღნიშნული კლინიკის თერაპიული განყოფილების ხელმძღვანელმა, რომლის ინფორმირებით და უშუალო ჩართულობით მიმდინარეობდა მკურნალობის პროცესი, არ გაითვალისწინა პაციენტის კლინიკური მდგომარეობის მართვის შესაბამისი პროტოკოლი და პაციენტს მედიკამენტური მკურნალობა აუცილებელი კვლევის ჩატარების გარეშე დაენიშნა. პროტოკოლის დარღვევების ფონზე ჩატარებული მკურნალობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების მიზეზი გახდა, რის გამოც იგი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც მოგვიანებით გარდაიცვალა.

პროკურატურამ ექიმს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 220 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით (გულგრილობა, ესე იგი საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია) წარუდგინა.

პოლიციამ სექსუალური ხასიათის მოძალადე დააკავა

არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის დანაშაულის ბრალდებით პოლიციამ 1 პირი დააკავა, – ამის შესახებ აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროსმიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე განცხადებით, სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვანების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი, მ.ი. წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ბრალდებით დააკავეს.

„დანაშაული 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მამაკაცი, წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვან გოგონას აედევნა ქუჩაში და მის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

საუბრები უფროსკლასელებთან ეროვნულ არქივში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში სკოლის მოსწავლეებისთვის მოწვეულმა ისტორიკოსმა თეა ქართველიშვილმა დავით აღმაშენებლის შესახებ ლექცია ჩაატარა, – ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული არქივი ავრცელებს.

მათივე ცნობით, თეა ქართველიშვილმა მიმოიხილა ის ისტორიული წყაროები, რომელიც დავით IV-ის პერიოდის შესახებ დღემდე არის მოღწეული.

„საჯარო და კერძო სკოლის 120-ზე მეტ უფროსკლასელს, რომლებიც „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის“ წევრები არიან, ეროვნულ არქივში დავით აღმაშენებლის შესახებ დაცული მასალა საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელმა ქეთევან ასათიანმა წარუდგინა.

სპეციალურად ლექციისთვის მომზადებული იყო დავით აღმაშენებლის ანდერძის მულაჟის ექსპოზიცია. ლექცია ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციისა და ეროვნული არქივის თანამშრომლობით ჩატარდა“.

„როგორ მოვძებნო მთავარი გმირი“?!

კომუნიკაციების კომისიის მედიააკადემიაში ჟურნალისტებისთვის სემინარი – „როგორ მოვძებნო მთავარი გმირი?“ ჩატარდა. სემინარს დრამატურგი მასა ჯანიკაშვილი გაუძღვა, რომელმაც მონაწილეებს ამმის დრამატურგიის შესახებ საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

ორდღიანი შეხვედრა, თეორიულ ნაწილთან ერთად, პრაქტიკულ დავალებებსაც მოიცავდა, რომლის ფარგლებშიც ჟურნალისტებმა შეისწავლეს ამმის ისტორიად ქცევა, მისი სხვადასხვა რაკურსით გაშლა და კრიტიკულად გაანალიზების მეთოდები. ამასთან ერთად კი მიიღეს ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც არ ჩანს, მაგრამ რომელთა გარეშეც სრული სურათის შექმნა შეუძლებელია.

სემინარის დასასრულს მედიააკადემიამ მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადასცა. მედიააკადემია, მედიასტანდარტის განვითარებისა და ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სფეროს წამყვანი სპეციალისტების სემინარებსა და სწავლებებს, უკვე მეხუთე წელია, სრულიად უფასოდ ატარებს.

ხელოვნური ინტელექტის წყალობით, კაცობრიობა ნაკლებს იმუშავებს...

Microsoft-ის დამაარსებელი, მილიარდერი ბილ გეითსი მიიჩნევს, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარება კაცობრიობას საშუალებას მისცემს, 3-დღიან სამუშაო კვირამდე მივიდეს. როგორც Business Insider-ი წერს, ამის შესახებ მან igjnba.-ზე გასულ ინტერვიუში ისაუბრა.

წამყვანის კითხვაზე, ემუქრება თუ არა ხელოვნური ინტელექტის განვითარება სამუშაო ადგილებს, ბილ გეითსმა თქვა, რომ დადგება დრო, როდესაც „ადამიანებს ამდენის მუშაობა არ მოუწევთ“.

„თუ მოლოს და მოლოს თქვენ მიიღებთ საზოგადოებას, სადაც კვირაში 3 დღე მოგიწევთ მუშაობა, ეს ალბათ კარგი იქნება“, – აღნიშნა გეითსმა.

ყველაზე დიდმა აისბერგმა მოძრაობა დაიწყო

მსოფლიოში ყველაზე დიდი აისბერგი, A23a, 37 წლის განმავლობაში გაჩერების შემდეგ, აღმოსავლეთით, სამხრეთ ოკეანისკენ დაიძრა. ის ოკეანის დინებებს მიჰყვება და მისი ამჟამინდელი ტემპით, დღეში 5 კილომეტრს გადის.

„თითქმის სამი ათწლეულის შემდეგ, აისბერგი, ალბათ, იმდენად შემცირდა ზომით, რომ დაკარგა თავისი ძალა ზღვის ფსკერზე, როგორც ყინულის შელფის ბუნებრივი ზრდის ციკლის ნაწილმა და დაიწყო მოძრაობა“, – განუცხადეს CNN-ს მეცნიერებმა ბრიტანეთიდან, ელა გილბერტმა და ოლივერ მარშმა.

გილბერტმა და მარშმა დასძინეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს კონკრეტული აისბერგი სავარაუდოდ დაიშალა, როგორც ყინულის შელფის ბუნებრივი ზრდის ციკლის ნაწილი, კლიმატის ცვლილება იწვევს ცვლილებებს ანტარქტიდის ყინულში და კონტინენტი ყოველწლიურად ყინულის უზარმაზარ რაოდენობას კარგავს.

ცნობისთვის, ანტარქტიდის აისბერგის – A23a-ს ფართობი თითქმის 4000 კვადრატული კილომეტრია, ის ორჯერ აღემატება დიდი ბრიტანეთის დედაქალაქს. ყინულის სისქე კი დაახლოებით, 400 მეტრს შეადგენს.

მთვარიდან აღებულ ნიმუშებში წყალბადი აღმოაჩინეს

აშშ-ის სამხედრო-საზღვრო კვლევითი ლაბორატორიის (NRL) მეცნიერებმა მთვარიდან აღებულ ნიმუშებში წყალბადი აღმოაჩინეს. მეცნიერების თქმით, მთვარის ზედაპირზე არსებული წყალბადის მარაგები შესაძლოა მომავალი მისიებისთვის წყლის წყაროდ იქცეს.

მთვარის გრუნტის ნიმუშები Apollo-ს პროგრამის ფარგლებში არის აღებული. წინა კვლევების ფარგლებში მთვარიდან აღებულ ნიმუშებში მეცნიერებმა ჰელიუმი იპოვეს.

უკრაინელი წვევამდელები თავს ევროპას აფარებენ

უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე ევროპაში 650 000 წვევამდელი გაემგზავრა. როგორც ევროპის სტატისტიკური სამსახური იუწყება, ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში, ასევე შვეიცარიაში, ლიხტენშტეინსა და ნორვეგიაში იმყოფება 650 ათასი უკრაინელი მამაკაცი, რომლებსაც ასაკით ჯარში სავალდებულო გაწვევა უწევთ.

„ევროსტატის“ მონაცემების ანალიზის მიხედვით, დღეს ევროკავშირში დროებითი დაცვის სტატუსი 4,3 მილიონი უკრაინელს აქვს მინიჭებული. მათგან 18%-ზე მეტი მამაკაცია, რომელთა ასაკიც 18-დან 64 წლამდე მერყეობს. ამასთან, ავსტრიული მედია არ აქვეყნებს მონაცემებს, თუ რამდენი უკრაინელი მამაკაცი ჩავიდა ევროპაში ლეგალურად, როგორც მრავალშვილიანი მამა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და სხვა იმ კატეგორიაში შემავალი მამაკაცი, რომელთაც ქვეყნის დატოვების უფლება აქვთ.

რუსეთში ჯარში გაწვევის ასაკი გაზარდეს

რუსეთის მთავრობამ დადგენილება მიიღო, რომლის მიხედვით 2024 წლის 1 იანვრიდან შეიარაღებულ ძალებში გაწვევის ასაკი 18-30 წელი იქნება. აქამდე მოქმედებდა წესი, რომლითაც ჯარში 18-დან 27 წლამდე იწვევდნენ. რუსეთის სახელმწიფო დუმამ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები 25 ივლისს მიიღო. თავდაპირველად სავალდებულო სამხედრო სამსახურის როგორც ზედა, ასევე ქვედა ზღვრის გაზრდა იგეგმებოდა, ანუ ის 21-30 წლამდე უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ ზედა ზღვარი დუმამ გაზარდა, ხოლო ქვედა – არა.

ამ გადაწყვეტილების მიხედვით, შეიარაღებულ ძალებში გაწვევა დამატებით 2 მლნ-მდე ადამიანს შეეხება. ანუ თუ ახლა გაწვევა 6,8 მლნ ადამიანს ეხება, ახალი წესის მიხედვით, ის 9,14 მლნ-ს შეეხება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 29 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7128; ევრო - 2.9594;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4081;
100 რუბლი - 3.0518; თურქული ლირა - 0.0939;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5958;
1000 სომხური დრამი - 6.7629

ამინდი 27 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +11
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +16
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +8
თბილისი: ღამე +8, დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge